345
1920
ეროვნული ბიბლიოთეკა



# შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილი"-სა.

I. ადრინდელი მონადირე სურათი . . . 2
II. მერცხლები ლექსი შიო მღვიმელისა. . 3
III. აღდგომის მოლოდინში. ან. წერეთლისა . . 5
IV. გორგალას მსხვერპლი, მაკას ნაამბობი . . 9
V. კუკურის ქვირო (დასასრული) დ. კასრაძისა . 11
VI. მურზილკას თავგადასავალი ანუ ჯუჯათა სამეფო (შემდეგი იქნება) . . . . . 20

VII. კუ და კურდღელი იგავი ი. სიხარულიძისა . . 29
VIII. მკბენარი ივ. ელიაშვილისა . . . . 31
IX. ყარაბოღლი ზღაპარი (შემდეგი იქნება) ჩაწერილი მასწ. ქეთო მირიანაშვილისაგან . . . 37

X. ფუტკარი ლექსი შიო მღვიმელისა . . . 41
XI. დანგრეული ოჯახი (გაგრძელება) ექ. გაბაშვილისა . 42
XII. ამბავი ქვესკნელისა ილ. ალხაზიშვილისა . . 49
XIII. არსებობისთვის ბრძოლა და ურთ-ერთი დახმარება სულდგმულთა სამეფოში ელ. ვირსელაძისა . 55

ჟურნალი

1920 წ. **ჯეჯილი** 1920 წ.

რედაქცია შეეცდება გამოვიდეს წესიერათ და ყოველი დაბრკოლება აიცილოს თავიდან.

თითქმის ყველა ძველი წლების ჯეჯილები იყიდება რედაქციაში და ღირს თითო წლისა 50 მან.

ქსფ-9ხ2-1(05)
5-40.
f-5828

# ჯეჯილი

საყმაწვილო

ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანად!
ი. ჭ.

საქართველოს ბიბლიოთეკა

მარტი, 1920 წ.

წელიწადი მეოცდათერთმეტე

ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ., 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ადრინდელი მონადირე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მერცხლები.

როცა სოფელს ვეთხოვებით
და გარშემო უვლით ფრენით,
არ გეგონოთ, ჩვენი გული
სავსე იყოს რამე ლხენით.

არა, სწრაფი ფაცი-ფუცი,—
ფრენაა თუ ჭყივილია,
უფრო მწარე გლოვა არი,
უფრო გულის ტკივილია.

სადაც უნდა დავიზამთროთ,
სადაც მუდამ გადავდივართ,
არც ვჭიკჭიკებთ, არცა ვლხინობთ,
მთელი ეს დრო ჩუმად ვზივართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ მტერმა ,არ დაგვაფრთხო,
არ ვიშლებით, ისე ვგშინავთ,
თვალი აქეთ იყურება
და გულითაც აქეთ ვფრინავთ.

და როდესაც გაზაფხულის
დაუბერავს ნიავ-ქარი,
ვერც ზღვა გვიჭერს, ვერც ხმელეთი,
ისე მოვალთ ვით ისარი.

ჭიკჭიკით და ლხენით ვავსებთ
არე-მარეს, ზღუდეებსა,
აქ ვმრავლდებით, აქ ვიშენებთ
სასახლ-კარე ბუდეებსა.

შიო მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აღდგომის მოლოდინში.



თიკო ნაღვლიანათ არის, აღდგომა ახლოვდება და ოჯახში არაფერი სამზადისია. ეგონა რომ წრეულს შარშანდელზე უკეთესათ დაუხვდებოდა აღდგომას. დედა მაკრინე თავ ჩაღუნული შედის და გადის. მამა სახადით საავათმყოფოში ჰყავთ. თუ დედა რასმეს შოულობს, მაშინვე საავათმყოფოში მიაქვს.

თიკოს პატარა ძმა სანდრო ბუზღუნებს:

— ნუ თუ წითელი კვერცხები ბლომათ არ გვექნება, ბატკანი რატომ არა გვყავს, პასკას დედა რატომ არ აცხობს, მამა როდის მოვა, დედა ხომ იმახის კარგათ არისო! დედას დღეს უთუოდ ყველაფერს ვკითხავ.

თიკო ძმას აჩუმებს, ეხვეწება:

— დედას ნუ შეაწუხებო, ნურას ჰკითხავ, თუ იშოვის რასმეს—ხომ კარგი. ხედავ თვალებზე ცრემლები შეუშრობელი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო მამიავ, სანდრო! ემუდარება და,—გაერთე, წაიკითხე წიგნები, ამხანაგებთან წადი.

— მერე სად არი წიგნები, ყველა გადაკითხული მაქვს... ამხანაგები სოფლებში წავიდენ. წითელი კვერცხები, დახრაწული გოჭები და ხაჭაპურები ბლომათ გვექნებაო...

— კარგი, კარგი ჩემო სანდრო, თუ დედა გიყვარს, ყველაფერი უნდა მოვითმინოთ. აი, ქუჩაში ბიჭები ბურთაობენ, წადი იმათთან. ეზოში კი ნუ გაივლი, სახადი არ შეგეყაროს.

* *
*

თიკო სანდროზე სამი წლით უფროსი იყო, 12 წლისა იქნებოდა. ძმას არიგებდა და სწავლაშიაც შველოდა. თვითონ გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე იყო, სანდრო კი ქალაქის სკოლის უფროს განყოფილებაში სწავლობდა. ესენი ქალაქის განაპირას სცხოვრობდენ. ამათი ერთად-ერთ ოთახს პირი ჰქონდა დიდ ჭუჭყიან, ბინძურ ეზოში, სადაც თავს იყრიდენ კავკავიდან გზათ მიმავალი ლტოლვილები. აუარებელი ფურგონები სავსე იყო მოხუცებულებით და ბავშებით. ცხენების და ხალხის უსუფთაობა მთელს ეზოში საშინელ სუნს აყენებდა. თიკოს და სანდროს აკრძალული ჰქონდათ არა თუ ეზოში გასვლა ფანჯრის გაღებაც კი. მაკრინე თავის ქმრის ეფრემის ავადმყოფობას აბრალებდა აქაურ სიბინძურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიკო ხშირათ ფანჯრიდან უყურებდა კავკავიდან გადმოხვეწილ გახვეულ ნაგლეჯ ტყაპუჭებში მშიერ ბავშვებს, რომელნიც ქუჩაში გადაყრილ დამპალ სანოვაგეს დაეძებდენ.

თიკო ჰხედავდა რომ ხალხი საჭმელს აწვდიდა საცოდავ ბავშვებს, თიკოს გული უდუღდა სიბრალულით და საკუთარ ნაღველს ივიწყებდა.

* *
*

აღდგომის წინა დღეა. დედა კვლავანდელზე მეტათ ფათურობს, რაღაც მიაქვს-მოაქვს—ყმაწვილებს უმალავს, ბევრს არ მოელოდნენო.

სანდრო უფრო და უფრო ბუზღუნებს. დედას კი ვერ უბედავს თქმას. თიკო ცდილობს უშველოს დედას: ხან წყალს უთბობს, ხან დუქანში ეგზავნება.

დაღამდა. ყმაწვილები მიწვნენ. დედამ უთხრა:

— ,,შვილებო, დაიძინეთო და წირვაზე წასვლისას გაგაღვიძებთო. იქნება მამაც ამ ღამეს საავადმყოფოდან გამოვიდესო‘‘.

ყმაწვილებმა თავი მოიმძინარეს, თვალს კი არ აშორებენ დედას, რომელიც ფარდის იქით სუფრასა ჰშლიდა.

—ნეტა თუ რა გვექნება ამაღამ?—ფიქრობენ ბავშვები.

ყმაწვილებს ბოლოს მაინც ჩაეძინათ.

* *
*

მოისმა ეკლესიის ზარის რეკა. ახმაურდა ქუჩაში ხალხი. ყველა წირვაზე მიეშურება. ყმაწვილებთან შემოვიდა მაკრინე. ხელში უჭირავს შვილებისათვის საჩუქარი—წითელი ჩუსტები. თიკოს კიდევ ლამაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი მისცა, ეფრემის ამხანაგებ—მესტამბეებისაგან ნაჩუქარი. სანდროსაც ხელში ჩაუდო ბზრიალა.

გახარებულმა ყმაწვილებმა საჩქაროთ ჩაიცვეს ტანთ და დედას წირვაზე გაჰყვენ.

გაჩირაღდნებული ეკლესია ხალხით სავსეა. აი მღვდელმა დაიძახა:

— „ქრისტე აღსდგა!" დიდმა და პატარამ პასუხათ გასცეს:

— „ჭეშმარიტათ"!.

ხალხს თითქოს დავიწყებოდა დღიური ვარამი და მხიარულათ ულოცავდენ ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას.

სანდრო და თიკო გაერივნენ სხვა ყმაწვილებში, გაისმა მილოცვა და წითელი კვერცხების—ჩახა-ჩუხი.

მაკრინეს ეჩქარებოდა შინ, რადგან ქმარი სახლში დაბრუნებული ეგულებოდა. მართლაც ეფრემი შინ დაუხვდათ. ოჯახის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა.

სუფრა გაშლილი იყო, მაგიდაზე ცოტ-ცოტა ყველაფერი ეწყო. პასხაც კი ედგათ წინ, თუმცა შავი ფქვილისა. ყმაწვილები შეუწყვეტლათ ტიტინებდენ...

ერთბაშათ მოისმა კარის ჭრიალი და სამმა ქერა თმიანმა ბავშმა მოკრძალებით თავები შემოჰყვეს:

— „Христа ради!, Кусокъ хлѣба!— მორცხვათ წაიდუდუნეს.

თიკო და სანდრო წამოვარდენ სუფრიდან და დედამამის დახმარებით, რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი მიაწოდეს საბრალოებს.

და შემდეგ უფრო კმაყოფილნი და გულმოფონილნი მოუსხდენ სააღდგომო სუფრას.

ან. წერეთლისა.

# გორგალას მსხვერპლი.

(მაკას ნაამბობი).



ამოვარდა გორგალა ეზოში, გარბის და გამორბის, ზედ გადაახტა ციცუნიას, რომელიც არხეინათ პირს იბანდა. მივარდა კრუხ-წიწილებს.

ყველა გარბის, თავს შველის.

მოუსვენარი გორგალა აუტყდა მეტათ ერთ კრუხს, არ ასვენებს, წიწილები უნდა გადუყლაპოს. კრუხი აიბურძგნა, აშფოთდა, მოჰყვა საშინელ კრიახს. არ ანებებს წიწილებს, გაჰკივის და გაჰკივის, თითქოს ცას და დედა-მიწას შველასა სთხოვსო.

გორგალა მოაშორეს, კარგა მიტყიპეს კიდეც. მაგრამ კრუხი თავისას არ იშლიდა, და იქამდის იკრიახა, სანამ ხმა არ ჩაუწყდა. ბევრი კრიახით ისე მოიქანცა, რომ იქვე, კიბის ქვეშ თავისი წიწილებით ძლივსღა მოიკალათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

კრუხი საღამომდის აღარ გამოჩნდა, წიწილები საცოდავათ წივწივებდენ. კრუხს მიხედეს და მკვდარი კი დაუხვდათ.

რომ გაეგოთ ამისთანა უცნაური სიკვდილის მიზეზი—გასჭრეს. აღმოჩნდა რომ გადამეტებული კრიახით სულ დასწყვეტოდა ყანურატოს და გულის ძაფები.



# კუკურის ქვირო.

(დასასრული).



კუკურის სურვილი აღსრულდა: მალე ქვირო გახედნეს, არა საპატიებელი ამბავი დაჰმართეს: ზურგზე უნაგირი დაადგეს, თასმებით ფერდები დაუწურეს:

— ვაიმე, დედავ, მოვიკვდი!—

კვნესოდა და თან ტორების ცემით ჩხუბობდა,— არ მინდა, გამეცალეთ, ისევ თავისუფლათ ამოვისუნთქო!

მისი ვაება-კვნესა უფრო მაშინ გაასკდა, როცა უნაგირიც არ აკმარეს და ახლა ზურგზედაც შეაჯდნენ:

— ვაიმე, დავიღუპე, მოვიკვდი დედავ, მიშველე!..

შეჰსჭიხვინა ქვირომ, მაგრამ იმისი დედა ისე შორს იყო, რომ ეს ჩივილი არ გაუგონია და თუნდაც გაეგონა, ვერაფერს უშველიდა, უმწეო ჭიხვინით ნუგეშსაც ვერ მისცემდა. მისი დედის ნუგეშის ნაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლათ გაისმა მათრახის ტყლაშუნი. ქვირომ ისე იგრძნო, თითქოს სამპირი ტყავი ასძვრა. გასწი-გამოსწია პირში პირველათ ჩადებული ლაგამი, კბილები სიმწარით გააკრაჭუნა, თითქოს ლაგამს ჩამტვრევას უქადისო და რომ ვერაფერს გახდა, თვალებიდან ნაპერწკლების ყრით გაეშვა უსწორ-მასწორად შარა გზაზე, მინდორ-ველათ და არც შემდგარა, სანამ მისმა მხედარმა ოფლში არ გააცურა და მოქანცულ-დაწყვეტილი შინ არ მოიყვანა.

— მაღარიჩი, მაღარიჩი! კუკურის ქვირომ გაიმარჯვა,—შესძახა სიხარულით შინ დაბრუნებულმა მალხაზმა: ისეთი ცხენი გამოდის, ისეთი, რომ მთელს დუნიაზე ცალიც არ ეყოლება...

კუკური სიხარულით ხტოდა. მას უკვე თავი წარმოდგენილი ჰქონდა მამასავით მხედრათ გამოსულიყო და თავისი ქვირო აღმა და დაღმა თავმომწონედ ეჭენებინა.

* *
*

თავმოწონებისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ასე თუ ისე კუკურისაც ერგო ქვიროზე შეჯდომა. გაგიხარიანთ, პირველ ხანებში ქვირომ ყველას ჯავრი იყარა, გაჯირითებისათანვე შეიკუნტრუშა და კუკური ფქვილის ტომარასავით გადაისროლა, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა: მეორე კვირა ტკივილები დაუშუშდა თუ არა, ხელახლა ეწვია ქვიროს, და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახტა ზურგზე და კარგა ხანსაც აჭენა. შემდეგ ეს ჩვეულებრივ ამბათ გადაიქცა. დილა ადრიან ქვირო ბაკიდან გამოჰყავდა და ჭენებით მიჰყავდა საძოვრამდე, შემდეგ მარილ-წყლით აბანავებდა, თვითონაც იბანავებდა და ისე ნასიამოვნები ბრუნდებოდენ.

— ასე არა სჯობია, ქვირო, შენც ისიამოვნებ და მეც…

— ჰო, ჰო, ძალიან კარგია, ძალიან კარგია,— ეუბნებოდა ქვირო და კუკურის არც კი შეუნიშნავს, რომ ქვირო მაინც მისი გულნაკლული იყო და რიდაცის მოლოდინში გახლდათ ერთგვარ სამაგიეროს გადასახლდელათ.

* *
*

ქვიროს საიდუმლო სულ მალე გამომჟღავნდა: ერთი წლის შემდეგ კუკური ქალაქში წასასვლელათ გაამზადეს, რომ სასწავლებელში მიებარებინათ. კუკური ქვიროს უკანასკნელ დღეებში ძრიელ ესაყვარლებოდა:

— აბა, შენ იცი, ქვირო, როგორც არ დამივიწყებ… მე სულ შენზე ვიფიქრებ-ხოლმე, აი! ვინძლო, მალ-მალე მინახულო… მე სულ მალე უნდა წავიდე, სულ მალე…

ეს საგანგებო დღეც მოახლოვდა. კუკური თავის დღეში არ ყოფილა ქალაქში და ამიტომაც დანაღვლიანდა: გააშორებდენ სახლ-კარს, საყვარელს ქვიროს და ვინ იცის, კიდევ რას არა… მერე რას მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემდნენ სამავიეროდ იმ ქალაქში? სწავლას? მაგრამ რა იყო სწავლა? რა იყო წიგნი? კუკურიმ არ იცოდა. მისი სწავლა, მისი წიგნი—სოფელი იყო და სოფლის ბუნება, იმის იქით იგი არავითარ სასიხარულოს არ მოელოდა. მაგრამ კუკურის არ ასცდა საყვარელ სახლ-კარს გაშორება. წინადღითვე დაუწყეს მზადება, წინა დღითვე აბანავებს, დალაქს თავი გააკრეჭინეს, მღვდელს ზარაკლისი ახდევინეს. დედამ გამოხსნა ბოხჩა, ჭრელი წინდები და კეწკეწი ხალათი ამოულაგა. კუკურის გული ეთუთქებოდა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა, არ შემნიშნონ და არ დამცინონო!

— ნუ თუ მართლა წამიყვანენ?—ჰფიქრობდა გულში:—ნუთუ დედა გამიმეტებს? ნუთუ?..

მაგრამ კითხვებს დასასრული არ უჩანდა, ამასობაში ვახშამობაც მოახლოვდა და ადრე ჩააწვინეს, რომ დილით ადრევე გასდგომოდენ გზას.

* *
*

მთელი ღამე არ უძინია კუკურის. სულ ბურანში იყო, უნდობლად ეთხოვებოდა ყველას, ვინც კი აქა რჩებოდენ. მაგრამ ფიქრებსა და წუვეტებაში იმდენად მოიქანცა, რომ ვერც კი შეჰნიშნა, თუ მისი დედა როგორ მიიპარა მის თავთან, გულმტკივნელათ ცრემლები დააფრქვია ხუჭუჭა თმებზე, თითქოს სამუდამოდ სადღაც დასაკარგავათ ისტუმრებს შვილს და არა სასწავლებლათაო. ბოლოს ადგა, ხატის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვილი სანთელი დაანთო და დიდხანს, ძალიან დიდხანს ილოცდა, რომ ღვთისმშობელს მისი პატარა ბიჭიკო კეთილ გზაზე დაეყენებინა.

როცა გათენდა, კუკური წამოფრთხიალდა. სამინლათ მოქანცულიყო. ოდნავად გაფითრებულიყო კიდეც. დედა მიესაყვარლა. მამა დიდიხანია, თურმე, ამდგარიყო კიდეც და ქვირო კარგადაც გამოეძღო.

— აბა, ხომ ყველაფერი მზად არის, დედაკაცო, — დაიძახა მალხაზმა შემოსვლისთანავე, — ჩქარა გაგვისტუმრე, თორემ ქალაქში საღამომდინაც ვერ ავალწევთ...

ნოყიერი საუზმე უკვე გამზადებული იყო. დაილოცეს. ფათაფუთით ყოველისფერი შესჭამეს. შემდეგ გამოეთხოვნენ. დედამ ბევრი ჰკოცნა კუკური, ეზოში გასძოვიდენ კიდეც, კუკური ნაღვლიანია, მაგრამ მაინც ცდილობს მხიარულათ იყოს. აგერ, შეკაზმული ქვიროც მოჰგვარეს. ქვირო დღეს ძალიან მხიარულს გუნებაზე იყო. ვგონებ წინა გრძნობა უმართლდებოდა.

— წავიდეთ... მშვიდობით, მშვიდობით!..

გაისმა ხმა უკანასკნელი გამოსალმებისა, როცა კუკური ქვიროზე შეჯდა. მალხაზმაც ამასობაში მეორე ცხენზე სავსე ხურჯინი მარდათ ჩააკრა. და ცხენს მოახტა.

— გავწიოთ!..

გაისმა მათრახის ტყლაშუნი. ქვირომ თამამად გაია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ეზო. ის-ის იყო ეზოს უნდა გასცილებოდენ, რომ კუკურის გარკვევით მოესმა დედის გამოსასალმებელი ქვითინი. გული აუდუღდა. აღვირი მოუშვა, ხელსახოცით ცრემლების წმენდა დაიწყო.

— რა გატირებს?—შეეკითხა მალხაზი აქვითქვითებულს კუკურის.

— არაფერი... ცხენი ბრუდედ მიდის და ის...

მამამ გულიანათ გადიხარხარა. ქვირომ კი სიხარულით შეიკუნტრუშა და არხეინად ჩაიხვიხვინა:

— მაშ რა გგონია, ჰა? ადვილი გგონია დედის დაშორება? აბა შენ უნაგირის დადგმაც ნახე და მაშინ მოგიგონებ, მაშინ... ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო...

* *
*

ქვირომ კუკურის უნაგირის დადგმაც თვალითა ნახა. ეს მოხდა ქალაქში. კუკური უკვე სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ ბინაც უშოვეს.

პირველ დღეებში კუკური არას იმჩნევდა, ვიდრე მამა და მისი ქვირო იქ იყვენ. ხოლო როცა დრო დადგა სოფელში დაბრუნებისა კუკური აიფხვირა. სულაც არ უგდია ყური, თუ მამა რა დარიგებას აძლევდა. მისი გონება ეხლა სოფელში გადაფრინდა, დედასთან.

— რა მინდა აქ,—ჰფიქრობდა გულში:—ვისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტოვებენ, ვისთან? სულ უცნობებთან? არა, ვერ მოგართვით... მე თქვენზე ადრე ამოვყოფ სოფელში თავს...

მას არაფრად მოეწონა უჩვეულო დიდი სახლები, ზღვა ხალხის მოძრაობა, სასწავლებელი, სადაც მილეთის ბავშებს თავი მოეყარათ და ერთიც კი არ გამოდგა მისი ნაცნობი, ამხანაგი. ამიტომაც შეჯდა თუ არა მამა ცხენზე, კუკური კარში გამოეშვა და უთავბოლოთ მიეშვა გზაზე:

— მეც უნდა წამოვიდე, მამი, მეც... აქ არ მინდა არა, არა...

მამამ რომ კუკურის გაჯიუტება ვერაფრით მოსტეხა, ვერც ალერსით და ვერც დაყვავებით, ადგა, მოაჯდა ქვიროსა და გზას გაუდგა.

კუკური სახლის პატრონმა შინ ძალით წაიყვანა და მოსარჯულებლათ კარებიც კი გამოუკეტა, რომ კიდევ არ გაგვექცესო.

* * *

მართალია, ქვირომ თვალით ნახა სამაგიეროს გადახდა, მაგრამ კუკურის დაშორება იმასაც კი დაეტყო, ძალიან ნაღვლიანობდა. უნდა გენახათ, რაოდენი სიხარული აემრა გულში, როდესაც საშობაოთ მალხაზმა ხურჯინი გადაჰკიდა და ქალაქს ესტუმრა კუკურის წამოსაყვანათ. ფრიად განცვიფრდა, რომ კუკური უკვე მოშინაურებული ნახა: იგი აღარსად იწევდა გასაქცევათ, თავისი წიგნებიანათ ხალისით დადიოდა

სასწავლებელში. მაგრამ ქვირო უაღრეს ბედნიერებას მაშინ უფრო განიცდიდა, როდესაც მისი მეგობარი ზურგზე შეაჯდა და ქალაქის ქუჩები შემოატარა. ქვირო ცდილობდა თავის პატარა მეგობარი ესახელებინა: ფართოდ ფეხს ჰშლიდა, ოდნავად არ ირხეოდა, წყალსავით მიგოგმანებდა... როცა შინ დაბრუნდენ, ქვირომ ალერსიანათ დაჰყნოსა გადმომხტარ პატარა მეგობარს და თან ხვიხვინით ჩასჩურჩულა:

— შენც ხომ შეგკმაზეს... ხომ შეგაჩვიეს სწორე სირბილს, ეხლა წავიდეთ... წავიდეთ, თორემ მარტოობით დავნაღვლიანდი...

მაგრამ კუკურიმ უპასუხა:

— არა, ჩემო ქვირო, წადი ჯერ სოფელში... შენ რომ გგონია, ვითომც უკვე დარახტული ვარ და შენსავით ჭენება შემიძლიან, ტყუილი არის,— მე ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი მაკლია... ეხლა დედა მომიკითხე და უთხარი, რომ საზაფხულოთ ამოვალ და ძალიან გაგახარებ სწავლაში, კოსტა ჭენაობითა თქო! ეტყვი ხომ? შენც და მეც მაშინ უფრო ბევრს ვისიამოვნებთ, ეხლა კი ზამთარია და... ჰო და მშვიდობით...

როცა მალხაზმა ქვირო სოფლისკენ გააჭენა, ქვირო ახვიხვინდა, უკმაყოფილოთ კუდის ქნევას მოჰყვა:

— ეჰ, იმანაც დამივიწყა... იმანაც დამივიწყა... ნეტა როდის მოვა ზაფხული, რომ ამოვიდეს?

მართალია, ბზე და ქერი არ აკლია ამ ზამთრათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიროს, მაგრამ ის მაინც ნაღვლობს და მოუთმენლათ მოელის ზაფხულს, დღეები კი თანდათან ნისლიანდება, თოვლი მატულობს. გულ გატეხილ ქვიროს ჰგონია სულაც აღარ მოვა ზაფხული, და ვინ იცის, იქნებ გაზაფხულზე ალუჩის პირველი ყვავილებიც კი ისევ თოვლათ მოეჩვენოს!..

დ. კასრაძე.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# მურზილკას თავგადასავალი ანუ ჯუჯათა სამეფო.

## ჯუჯებმა მოულოდნელათ თავი ამოჰყვეს ჩინეთში.

მთიანი ადგილები, სადაც დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ჯუჯებმა, მთლათ მოფენილი იყო ისეთი მდიდარი მცენარეულობით, რომელიც თავის დღეში არ ენახათ. მაღალ, ახოვან ბზის ხეებთა შორის შიგა და შიგ ფორთოხლისა და ნუშის ხეები იდგა. ღია ფერის ყვავილები ნაირ ნაირათ გამოიყურებოდა, ლამაზი ფრინველები საოცარი გალობით ამკობდენ არე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეს, პეპელები, ასოვან ჯუჯებზე სამჯერ უფრო დიდრონები, დაფრინავდენ ერთი ყვავილიდან მეორეზე და საოცნებო ფრთებით მზეზე ბრწყინავდენ.

კაცუნიები განცხრომას მიეცენ. რბილ ბალახზე გაწვენ და ხარბათ დაიწყეს ყვავილების წუწვნა.

ერთბაშათ „ჩუმი მისნის“ წრიპინი მოისმა.



— ძამიებო, ერთი აიხედეთ მაღლა, ნეტა ვინა სხედან იქ!

გაოცებული ჯუჯები ფეხზე წამოხტენ და მირს ჩამოზნექილ მწვანე ტოტზე დაინახეს აუარებელი თავიანთი მსგავსი პატარა ფერიები, ხოლო ფრთები ღია ფერისა ჰქონდათ. ისინი შიშით და ცნობის-მოყვარეობით შესცქეროდენ ამ ახალ მოსულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინიანთ, მამიებო! უთხრა ამ ფრთოსან ფერიებს „ტუჩ-გრძელა კურდღელმა“,—ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენი დახმარება ჩვენ თვითონ გვესაჭიროება.

— თუ აგრეა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩამოსძახეს ზემოდან,—გთხოვთ ამობრძანდეთ ჩვენთან.

ერთ წამს იმდენი ჯუჯები აცოცდენ ხეზე, რომ ტოტმა ვერ გაუძლო, ჩამოიხლიჩა და მურზილკას და ჩი-კა-ჩის თავზე დაეცენ მრავალი ჯუჯები.

ჩი-კა-ჩიმ თავი მარდათ დააღწია და შიშისაგან ცოცხალ მკვდარი ლაჩარი მურზილკაც გამოათრია, რომელიც სრულებით არ იყო დაშავებული, მაგრამ ხმა მაღლა ჭყვიროდა და ტიროდა.

შიშმა რომ გაუარათ, ჯუჯებმა თავი მოიყარეს ერთ დიდ ხის ქვეშ და მოჰყვენ ერთმანეთის თავგადასავალს.

— ოჰ! თქვენ დიდი გმირები ყოფილხართ! აღტაცებით ეუბნებოდენ ფრთოსანი ფერიები ახალ მოსულ სტუმრებს, ნაამბობს რომ ყურს უგდებდენ,— თქვენ ხომ იცით, რომ ახლა ჩინეთში ხართ, სადაც ჩაის ხე მოდის?

— ჩემ სამშობლოში, განა! წამოიძახა ჩი-კა-ჩიმ, —როგორ არა, როგორ არა! ყველაზე ადრე ჩვენი ჩინეთი მე ვიცანი. ახლა ქალაქის დათვალიერებას ვაპირებთ. უნდა ამხანაგებს უჩვენო რა ლამაზი ხალხი ცხოვრობს ჩვენს ჩინეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ შენა გგვანან, დიდი მახინჯები იქნებიან, —გაიფიქრა ,,პაპა-წვერამ“, მაგრამ ხმა მაღლა კი არა თქვა, რომ არ ეწყეინებინა ჩი-კა-ჩი.

საერთოდ ყველამ გადასწყვიტეს, განთიადისას მახლობელ ქალაქში წასულიყვნენ.

ირაჟრაჟა თუ არა ჯუჯები წამოხტენ მწვანე საწოლებიდან და ქალაქისაკენ მიაშურეს. თავისი პატარა ჯადოსანი ფეხსაცმელებით ელვის სისწრაფით გაჩნდნენ ქალაქში.

თუმცა ძალიან ადრე იყო, მაგრამ ვიწრო ქუჩები ხალხით იყო სავსე. ზოგი რას ჰყიდდა და ზოგი რას! პატარა ბიჭები მერცხლის ბუდეებს ჰყიდენ და სხვა და სხვა წვრილმანს, რომელნიც ჩინელებს ძალიან უყვართ. მოხელეები კი მიეჩქარებოდენ სამსახურში.

ქუჩის აქეთ-იქით ჩამწკრივებულიყო, ჩუქურთმიანი ერთ და ორ სართულიანი სახლები. სახლების სახურავები გადაბმული იყო აივნებით, რომელსაც ზემო ქუჩათ ხმარობდენ, იქაც, როგორც ქვევით ხალხი ჭიანჭველებისავით ირეოდენ.

ფერიები აცოცდენ მაღლა, იქიდან მოჩანდა მთელი ქალაქი, სხვა და სხვა შენობებით, სამლოცველოებით, სადაც ესვენათ მახინჯი კერპები—ჩინელების ღმერთები. ქუჩები თანდათან ხალხით ივსებოდა. გამოჩნდა ტახტრევნები, რომელშიაც ისხდენ დიდ კაცის ცოლები და თვით მანდარინები (ჩინეთის წარჩინებულნი პირნი). ქალები ჭრელ ტანისამოსში იყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ, თმები მაღლა ჰქონდათ ავარცხნილი და შიგ ეკიდათ გალიები ჩიტებით და ყვავილების თაიგულები. კაცებს ნაწნავები ეკიდათ; ვინც უფრო მაღალი ხარისხის კაცი იყო—იმათ უფრო გრძელი ნაწნავი ჰქონდათ, მანდარინებს მაგალითად, ფეხის ქუსლებამდის სწვდებოდათ. იმათაც ქალებივით ჭრელი ტანისამოსი ეცვათ. ხოლო თმები არ ჰქონდათ მაღლა ავარცხნილი—პატარა ქუდები ეხურათ, რომელზედაც ოქროს ქლარუნები ეკიდათ, მანდარინები ერთმანეთს დაბალი თავის დაკვრით, თავაზიანათ ესალმებოდენ.

ჯუჯები მოედენ ქალაქს და აკვირდებოდენ ჩინელებს.

ბინდისას, როდესაც ჯუჯებმა თავი მოიყარეს, ყველანი ერთმანეთს უამბობდენ, თუ რა ნახეს, რა შეიტყეს და ან როგორ გაატარეს დრო.

ლაპარაკით ისე გაერთენ, რომ შუა ღამე გადავიდა სანამ დაიძინებდენ.

**ჯუჯების თევზაობა და მურზილკას გადარჩენა ხიფათისაგან.**

,,ტუჩ-გრძელა‘‘ და ,,პაპა-წვერა‘‘ უამბობდენ ქალაქ გარეთ თუ როგორ დასეტიალობდენ. ჩინელების მოთმინებას და შრომის მოყვარეობას აღტაცებით ისხენიებდენ და რა სიყვარულით მუშაობდენ ისინი თავიანთ ჩაის ბაღჩაში, რომელიც სოფელში თითქმის ყველას სახლების წინ აქვს გაშენებული.

,,ტურკიამ‘‘ თქვა, რომ ჩინეთში იმდენი მცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია, რომ დასამუშავებლათ მიწა ყველას არ ჰყოფნის, და ბევრნი იძულებულნი არიან მდინარეებზე ტივები შეჰკრან, ნოყიერი მიწა დააყარონ და ბაღ-ბოსტანი მოიყვანონ. ასე სცხოვრობენ ისინი მოტივტივე სახლში.

,,ჩუმი-მისანი'' თამამად უამბობდა, თუ როგორ დაუკითხავათ შევიდა ის ერთ მანდარინთან და ნახა, რომ ერთი ჩინელი ვერცხლის წყლით ჰხატავდა მანდარინის ცოლს.

მხოლოთ ცრუ პენტელა მურზილკამ ხეირიანათ ვერაფერი უამბო ამათ. ის თურმე ქუჩებში დარბოდა და ყველას ნაწნავებში სტაცებდა ხელს.

— რომ იცოდეთ, რა სასაცილო იყო!—კისკისებდა მურზილკა;—ერთს რომ ვწვდებოდი თმებში, საბრალო მობრუნდებოდა და მე რომ ვერ შემამჩნევდა სხვა გამვლელს დაუწყებდა ლანძღვას. გამვლელს ეგონა გიჟიაო და საჩქაროთ მოსცილდებოდა. მე კი მეორეს დავწევდი ნაწნავს. სასაცილო იყო!

ფერიებმა იცოდენ მურზილკას ტყუილები და არც კი სჯეროდათ. მურზილკას წყინდა, მაგრამ რას გააწყობდა.

ჯუჯებს ჩინეთში ცხოვრება ძალიან მოსწონდათ და კარგა ხანს დარჩენ.

ერთხელ დილა ადრიან ესენი ზღვის პირად ისხდენ. დამშვიდებულ ზღვაზე ჩინელების პატარა, სუბუქი ნავები დასცურავდა. შიგ თითო ჩინელი იჯდა რამდენიმე ფრინველით, ფრინველები სათითაოდ ჩაიყურჭუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელებდენ ზღვაში !და იქიდან თითო თევზი ამო-ჰყვანდათ.

ჩვენს ფერიებს ძალიან მოეწონათ ასეთი თევზაობა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო გაწურთვნილი ფრინველები!

თევზები თითქოს ამათ გამოსაჯავრებლათ ხტოდენ და თამაშობდენ წყლის ზედა პირას.

ჯუჯები დაღონდენ.

— მეგობრებო, მე ვიცი როგორ შეიძლება თევზების ჭერა. წამოიძახა ცხვირ დიდა ექიმმა.—ხშირათ მინახავს როგორ იჭერენ მაგ გიჟმაჟებს, საჭიროა მხოლოთ ანკესები.

— მაშ, ჩქარა შეუდგეთ საქმეს!—მიუგეს ფერიებმა.

თვალის დახამხამებაზე ზოგი ჭაობისაკენ გაიქცა ლერწმის მოსატანათ, ზოგი ქალაქში გაეშურა კანაფის და ნემსკავების საყიდლათ, ზოგი ჭიების მოგროვებას შეუდგა. „ტურკიამ" ტყიდან მოათრია კასრები, ხის ყუთები და ნიჩბები. ყველა დიდი ხალისით შეუდგა საქმეს, ადვილათ მოსახრელი ლერწამი ბასრი დანით გამოჰყავდათ, როგორიც სახმარებლათ საჭირო იყო. კასრები და ყუთები თვალის დახამხამებაზე ივსებოდა ჭია-ღუებით. კანაფი და ნემსკავებიც დროზე მოესწროთ.

ის იყო ფერიები მუშაობას უნდა შესდგომოდენ, რომ მოესმათ მურზილკას ჭყვირილი, მოთქმა. მურზილკა როგორც მუდამ, არც ეხლა ჰშველოდა მათ,

უფრო ცუდლუტობდა: აჭხდიდა ყურებს და სთვლიდა ვინ რამდენი ჭია-ღუა მოიტანაო. სწორეთ ამ დროს ერთი ყუთიდან ამოფრინდა რამდენიმე კოღო, ეცენ მურზილკას და მწარეთ დაჰკბინეს, უბედური გაიქცა, მაგრამ ამანაც ვერა უშველა რა. გააფთრებული კოღოები ბზუილ-ბზუილით მისდევდენ. მამიები რომ არ მიშველებოდენ საბრალო მურზილკას ხეირი არ დაეყრებოდა. ამ ამბავმა დრო დააკარგვინა ფერიებს. მზე გადიწვერა და თევზებიც მიიმალენ.

მეტი გზა არ იყო, თევზაობა მეორე დღისთვის გადასდეს.



მეორე დღეს, დილა ადრიან, ჯუჯებმა ნემსკავები ზღვაში გადისროლეს და მათ სიხარულს ბოლო არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა, რადგან თევზები ხარბათ მიესივენ გემრიელ ჭია-ღუებს.

ყველაზე ადრე ,,ჩუმმა-მისანმა" ამოათრია საო-ცარი მოდიდო თევზი. ,,ტუჩ გრძელა კურდღელმა" და ,,წრიპინა თაგუნამ" დაიჭირეს გველანა, რომელიც მაშინვე ხელიდან გაუსხლდათ.

მურზილკა თავმომწონეთ მიდი-მოდიოდა მომუშავე ძმების შორის, მხიარულათ უსტვენდა და ჩვეულებრივ ყველას უშლიდა მუშაობას. მერე მოიკალათა ზღვის პირას და მოჰყვა წყლის შხაპუნს. ერთბაშათ თავმა დასძლია და წყალში ჩავარდა. ,,ცხვირ დიდა" ექიმი და სხვა ამხანაგები რომ არ მიშველებოდენ მურზილ-კა უსათუოდ დაიღრჩობოდა.

(შემდეგი იქნება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუ და კურდღელი.

(იგავ-არაკი ეზოპიდან).

ერთხელ კურდღელი ტყიდან მოხტოდა,
შემოეყარა კუს უცებ წინა,
აუტყდა, ნელი სიარულისთვის,
დაუწყო კიცხვა, მწარეთ დასცინა;

—

არ ვიცი სწორედ, მან კურდღლის სიტყვა
როგორ მიიღო რომ მოისმინა,
იქნებ არაფრათ აღარ ჩააგდო,
იქნებ ეწყინა და მოითმინა,

—

მაგრამ ეს უთხრა: „დამენაძლევე,
იმ ხემდე, რომ სდგას ყანის ბოლოსო,
რომელი უფრო ადრე მიაღწევს—
ხომ დავინახავთ ამას ბოლოსო"...

—

კურდღელმა სიცილ-კისკისს უმატა,
უთხრა: „რას ამბობ, გენაცვალეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭია ხომ არ ვარ, რომ შენ სირბილში
შემეჯიბრო და დამენაძლეო?!

—

აბა ჭკუაზე ხომ არ შემცდარხარ,
შენ ამას რატომ ვერ მიხვდებიო,
რასაც ზოზინით ერთ დღეს გაივლი,
მე იმდენს ერთჯერ გადავხტებიო!!!

—

მაშინ კუმ უთხრა: „დროს ნუღარ ვკარგავთ,
მე პატიოსან სიტყვას გაძლევო,
გზას შეუდგეთ და, თუ კი გამასწრებ,
ხომ მოგერთმევა შენ სანაძლეო"!

—

შეუდგენ გზასა, კუ მიზოზინობს
ჩვეულებრივათ, შეუჩერებლათ,
კურდღელი მიჰხტის ხან აღმა, დაღმა,
ხან შეჩერდება მოსასვენებლათ,

—

და ასე მსჯელობს: „რატომ ვიჩქარო,
და გავიხეთქო სირბილით გული,
განა არ ძალმიძს ორი ნახტომით
რომ აღვადგინო დრო დაკარგული?!!

—

კუ ძველებურათ გზას განაგრძობდა,
მიზოზინობდა, წინ მიიწევდა...
და რა იხილა კურდღელმა, რომ კუ
მალე, სულ მალე ხეს მიაღწევდა,

—

გაუხტა მარდათ, გაჰკურცხლა ჩქარა,
ხისკენ გაჰფრინდა ჩვენი ყურდიდა,
გვიანღა იყო: კუ ხესთან იდგა,
და სანაძლეოს თვისას უცდიდა.

ი. სიხარულიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მ კ ბ ე ნ ა რ ი.

„ვაჰმე, რა ძნელი ყოფილხარ
სიღარიბეო ტიალო!
მე სამ—მეოთხე წელია
ერთნ ახალოხნი მცვიანო;
შიგ მამიკრუხდენ ტილები,
წიწილეებსა ზდიანო...
საკვირველ ნაშენობა აქვს—
თითოს ექვს ფეხნი სხიანო.
დამართეს სასახლეები,
ადიან-ჩამოდიანო;
ვაჟკაცი არი, შარცხვება,—
იმასაც არ იტყვიანო;
მე ვეხვეწები—ნუ გამკბენთ,
ისინ-კი არ იშლიანო!...

**ფშაური ლექსი.**

მტკნარი სიცრუე უთქვამს ვიღაც საბრალო უმეცარ ფშაველს.

ტილების გაჩენა და გამრავლება სიღარიბის კი არა, სიბინძურის შედეგია. შეიძლება კაცი ღარიბი იყოს, მაგრამ სუფთა. შეიძლება კაცი მდიდარი იყოს და ბინძურიც. ეს შეგნებაზეა დამოკიდებული. თუ კაცს შეგნებული აქვს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ სისუფთავე არის ჯანმრთელობის ერთი ძირითადი პირობათაგანი, რომ ხშირის ტანის ბანვითა და საცვლების გარეცხვით იგი უზრუნველყოფს თავის კეთილდღეობასა და დღეგრძელობას, მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღარიბე ვერას დაუშლის, თუნდაც კონკები სუფთად რომ ჰქონდეს შენახული და ტილების ბუდეთ არ გაიხადოს. ხოლო ვისაც ეს ჭეშმარიტება ვერ შეუგნია, იმას დიდი ფული და ძვირფასი ტანსაცმელიც ვერას უშველის. ტილს უყვარს ისეთი კაცი, რომელიც ტანს იშვიათად იბანს და საცვლებსაც იშვიათად ირეცხავს. ასეთი კაცის საცვლებში ,,მოიკრუხებენ ტილები და წიწილებსაც დასდიან“.

ადამიანის სხეულზე სამგვარი ტილი ბუდობს: 1) თავის ტილი, 2) საცვლების ტილი და 3) ტანის ანუ ბოქვენის ტილი, ანუ ჯღიბა.

თავის ტილი ბუდობს თმაში. თმის ძირებში სდებს კვერცხებს, რომლებსაც წილები ჰქვიან. ამ წილებს თავის ტილი ერთგვარი წებოსებური ნივთიერების შემწეობით მიაკრავს თმას ისე, რომ თუ არ ხშირი სავარცხლის კბილები, ისე ვერ შორდება თმას. ხოლო მათ მოსაშორებლათ ყველაზე ადვილი საშუალებაა თავის გაპარსვა და შემდეგ კვირაში ერთხელ მაინც თავის დაბანვა საპნითა და თბილი წყლით. თავის ტილი მუქი ფერისაა. ექვსი ფეხი აქვს და ფრიად პატარა თვალები. პირი ისე აქვს მოწყობილი, რომ იოლათ სწოვს კაცის სისხლს, როცა ჩაჰყოფს თვის მილისებურ ტუჩებს კანში. მამალი ტილი უფრო მომცროა დედალზე. ტილი სდებს 50 წილს და ერთის თვის განმავლობაში შეუძლია გამოჩეკოს 2500 ტილი, რომლებიც ოთხი კვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში დასრულდებიან და თვით ხდებიან ახალ-თისავე წარმოშობისა და გამრავლების შემძლებნი.

საცვლების ტილი უფრო მოთეთროა და თავის ტილზე უფრო დიდი. გარდა ამისა განირჩევა მით, რომ განსაკუთრებით ბუდობს ტანთსაცმელში და მომეტებულათ პერანგის ამხანაგის ნაოჭებში. ნადირობს ადამიანის გულზე და ზურგზე, აქა სწოვს მის სისხლს და ისევე საოცრად მრავლდება, როგორც თავის ტილი.

ყველაზე საზიზღარი თვალთაც, ტანათაც და არსებითაც არის ჯღიბა, რომელიც თითქმის განსაკუთრებით ბუდობს ბოქვენზე, მის თმაში და ბარძაყებზე. ხოლო ფრიად უგვანოსა და ბინძურ ადამიანს გაუჩნდება გულზე, წვერ ულვაშებშიაც, წარბებსა და წამწამებშიაც. ეს მკბენარი ფრიად თავისებური მოუვანილობისაა, ყოვლად უგვანო და ისე ჩაეჭიდება ადამიანის ტანში, რომ ძნელი მოსაშორებელია. იგი ჩაჰყოფს თავს კანში, ფეხებს ჩააკრავს შიგ და რო დაიწყებს სისხლის წოვას ფრიად დიდ ქავილს აყუტებს ადამიანს. ესეც თავის ტილივით თმის ძირში სდებს წილს, რომელიც ისევე ეკვრის თმას, რომ თუ არ მოიპარსა კაცმა თმა, სხვა გზით ვერ მოიშორებს. საზოგადოდ ამ მკბენარის მოსაშორებლათ ჩვენში ხმარობენ ერთგვარ საშუალებას, რომელსაც ჩვენს აბანოებში მექისეები ხმარობენ და რომელსაც „ტაროს“ ეძახიან. ქიმებს უფრო საიმედო საშუალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა აქვთ,—ეს არის ვერცხლის წყლის მალამო, რომელსაც აფთიაქებში პალიტანს უწოდებენ.

ხოლო ყველაზე უკეთესი, სანდო და პატიოსანი საშუალებაა, მოხსენებულ ტილების საწინააღმდეგოთ,—სისუფთავე, ხშირად ტანის ბანვა, საცვლების დარეცხვა და დამდუღვრა, მოკლე თმის ტარება და ხშირი სავარცხლით მუდამ დღე ორჯერ-სამჯერ დავარცხნა და ვისაც ამისათვის მოცალეობა არა აქვს, თავის გადაპარსვა.

ტილს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ტყუილად კი არ სჩივის საბრალო ფშაველი: ,,ვაჟკაცი არის, შარცხვება, იმასაც არ იტყვიანო". დიახ სამარცხვინო და სავალალოა ის ადამიანი, რომელიც ისე მოდუნებულა ფიზიკურათ და ზნეობრივათაც, რომ ტილების ბუდედ გაუხდია თავისი ტანი და საცვლები. დიახ სამარცხვინოა ის ოჯახი, სადაც ეს საძაგელი მკბენარები ჰპოულობენ ბინასა და საზრდოს. მაგრამ სირცხვილს თავი დავანებოთ. სირცხვილს ამ შემთხვევაში სიკვდილიც მოსდევს. სიკვდილი იმიტომ, რომ ტილები არიან მატარებლები და გამავრცელებელნი პარტახტიან და შებრუნებითი სახადისა ანუ ტიფისა. სწორედ ისევე, როგორადაც კოღო ციებ-ცხელებისა.

თუ ტილმა პარტახტიან სახადით ავადმყოფს უკბინა და ტანმრთელ ადამიანს დააჯდა, ეს ადამიანი რვა-თორმეტი დღის განმავლობაში ამ სახადით ავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ხდება. არა თუ იმ წამსვე, არამედ ორი კვირის განმავლობაში. ასეთს ტილს შეუძლიან აუცრას კაცს ეს სახადი. აგრეთივე მნიშვნელობა აქვთ მკბენარებს შებრუნებითი ტიფის აცრაშიაც. მაშასადამე ყოველი შეგნებული ადამიანი, ქალია იგი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი.—ყველა მოვალეა თავისი თავისა, ოჯახისა და სახელმწიფოს წინაშე თვის სიახლოვეს მკბენარი არ გააჭაჭანოს. ეს არის აუცილებელი მოვალეობა ყოველი მოქალაქისა თვის ქვეყნის წინაშე. დეე, ამის იქით ყოველ მოქალაქეს დღე-მუდამ თვალწინ ედგას ეს მოვალეობა: სასტიკი ომი და ზიზღი მკბენარებს! სირცხვილი და სიკვდილი ტილების ბუდეთ ქცეულ ადამიანს! ღარიბი კაცი კი არ არის მკბენარების მომშენებელი და გამავრცელებელი, არამედ შეუგნებელი და ბრიყვი. პატარეების დაცვა მკბენარებისაგან არის დედ-მამის მოვალეობა. თუ ჩიტმა-ჩიორამაც კი იცის თვისი ბარტყის ნისკარტით გაწმენდა-გასუფთავება და წყალშიც გაბანვა, ნუ თუ ადამიანის შვილს არ უნდა სცხვენოდეს, როცა მის შვილებს უსუფთაობა-სიბინძურისაგან მკბენარები სჭამენ და დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდენ? ხშირად აკვანში მწოლიარე ბავშის ტირილის მიზეზი მკბენარია და უვიცი დედა კი მუმუს სჩრის პირში საცოდავ ბავშს. ერთიც რომ დაუკვირდეს ეს შეუგნებელი დედა თვის ბალღის დაკბენილ დაწითლებულ ტანს, იმ წამსვე მიხვდება, თუ რატომ ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამშვიდებს მტირალ ბავშს დედის ძუძუ. და თუ ამ მკბენარებისაგან გაანთავისუფლებს, მაშინ აშკარად დაინახავს, რომ ბავში ღამეში ორჯელ თუ მოით-ხოვს ძუძუს. დედაც არხეინად იქნება და ბავშსაც ძი-ლი არ გაუტეხდება.

როგორც ტილები აგრეთვე ბაღლინჯო და რწყი-ლიც სამარცხვინო მტერია ადამიანის ტანმთელობისა და კეთილდღეობისა. ამათი მტერი კი სისუფთავეა და სისუფთავე.

ივანე ელიაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ყ ა რ ა ბ ო ღ ლ ი.

(ზღაპარი).

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ვეზირი, ისიც უშვილო. ძალიან სწუხდენ რომ შვილი არა ჰყავდათ. ერთხელ სიზმარში ნახა ხელმწიფემ დედაბერი, რომელმაც ურჩია: შენს ბაღში რომ ვაშლი აბია, ის მოწყვიტე, გათალე, ნახევარი შენ შეჭამე, ნახევარი შენ ცოლს შეაჭამე და შვილი გეყოლებათო.

გათენდა დილა, მეფე შევიდა ბაღში, ნახა რომ ვაშლის ხეს გამოუბავს მშვენიერი ვაშლი. მეფემ მოწყვიტა, გათალა, ნახევარი თვითონ შეჭამა და ნახევარი ცოლს აჭამა, თან აუხსნა თავისი სიზმარი.

ეს ამბავი რომ იქ მდგომმა ვეზირმა გაიგონა, აიღო ნათლები, შინ წაიღო და ნახევარი თავის ცოლს შიაჭამა, ნახევარი თვითონ შეჭამა. იფიქრა, თუ კი გათლილი ვაშლიდან გაჩნდება შვილი, რატომ ნათლებიდან არ უნდა გაჩნდესო. ორივე მანდილოსანი დაორსულდენ და ეყოლათ ვაჟიშვილები. გაიზარდენ, ორნივ ერთად სწავლობდენ. ორივენი ძალიან ლამაზები იყვენ, მაგრამ ვეზირის შვილი უფრო ლამაზი და ღონიერი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას სახელათ ერიკა ყარაბოღლი დაარქვეს. ხელმწიფის შვილი უფრო სუსტი და უღონო იყო.

როდესაც დავაჟკაცდენ, ხელმწიფის შვილი და ყარაბოღლი შვილდისრით ერთობოდენ.

დედაბერს კოკით წყალი მოჰქონდა, ხელმწიფის შვილმა ისარი სტყორცნა და კოკა გაუტეხა. დედაბერმა უთხრა: დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, ,,შენამც ჩაგვარდნია ცხრა მთას იქით რომ ცხრა მდევს და ჰყავს იმისი სიყვარულიო.

დაღონდა ყმაწვილი და ყარაბოღლის უთხრა. უნდა წავიდეთ, ის ქალი უნდა ვნახოთო. ყარაბოღლის ეძნელებოდა წასვლა, მაგრამ ხათრით უარს როგორ ეტყოდა.

ეს სურვილი მშობლებს გამოუცხადეს. მათ ბევრი უშალეს, მაგრამ ვერა გააწყეს რა; ერთს კვირაში მოემზადენ, ჩაიცვეს სახელმწიფო ტანისამოსი, შესხდენ რაშებზე და გზას გაუდგენ.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გადაიარეს ცხრა მთა და დაადგენ იმ გზას, საიდანაც ბროლის კოშკი მოსჩანდა. მდევების, და მშვენიერი ქალი, კოშკის ფანჯარაში იჯდა და გზას გაჰყურებდა. იმისი ძმები კი სანადიროთ იყვენ წასული. მოხუცებული დედა ჰყავდა, ქალმა დაინახა თუ არა ორი მგზავრი იმათკენ მიმავალი, დედას უთხრა: ,,დედი, დედი, ორი ყმაწვილი მოაფრენენ რაშებსო''.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ვაიმე, შვილო, აბა უყურე დიდ ხრამზე გადმოაფრენენ რაშებს თუ შორს მოუვლიანო.

ყარაბოღლიმ აფრინა რაში და გადაჰხტა, ხელმწიფის შვილმა კი შორს მოუარა.. ,,დედი, დედი, ერთი ზედ გადმოჰხტა, მეორემ კი მოუარაო.

— ვაი მდევების დედასა—აბა უყურე, შვილო, გალავანზე როგორ გადმოვლენ?

ყარაბოღლიმ დაჰკრა მათრახი თავის რაშს და გადავიდა გალავანზედ: მივიდა, გაუღო კარი ხელმწიფის შვილს და შემოიყვანა.

,,დედი, დედი, ერთი ზედ გალავანზე გადმოვიდა, გაუღო კარი მეორეს და ისიც შემოვიდა.

კოშკის ახლოს ბაღი იყო მშვენიერი სხვა და სხვა ხილით სავსე. რაშები ბაღში გაუშვეს. ხელმწიფის შვილი დასეირნობდა ბაღში. ყარაბოღლი გულაღმა იწვა, ესროდა ისარს და ხილი ჩამოდიოდა ძირს. ხელმწიფის შვილი იდგა და ჭამდა.

,,დედი, დედი, ერთი მწოლიარე ისვრის ისარს, ხილი ჩამოდის, მეორე კი სჭამსო.

როცა კარგა დაისვენეს, კოშკში ავიდენ, ნახეს მშვენიერი ქალი, თითონაც მშვენიერები იყვნენ. დედამ უთხრა მათ: შვილო, ეხლა ჩემი შვილები მოვლენ და დაგხოცავენო, ,,დედი, უნდა დაგვმალოვო.

საღამოთი მართლაც მოვიდენ მდევები, მოიტანეს ნანადირევი მშველები, ირმები, წიფლის ხეები.

ცხრავე ძმა მიესალმა დედას, დას და სთქვეს.— ადამიანის სული მოდისო.

— შვილო, თქვენი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუვლია და ქვეყანაზე სულდგმულსო. მაგრამ ეხლა კი მართლაც არიან ადამიანები. შვილებო, თუ არას დაუშავებთ, გამოვლენო.

შვილებმა შეფიცეს, რომ არას დაუშავებდენ. გამოიყვანეს ყარაბოღლი და ხელმწიფის შვილი. მდევებს ძალიან მოეწონათ. ეზოში გავიდნენ და ვახშმის მზადებას შეუდგენ. ყარაბოღლიმ ხელათ ირმებს დაუწყო ტყავება, წიფლის დიდრონ მორებს ხელით ამტვრევდა. დევები გაკვირვებით შეჰყურებდენ ყარაბოღლის ყოჩაღობას, და თითქმის შეფიქრიანდენ კიდეც. ისინი ცხრავე ერთად ეჭიდებოდენ ქვაბს ცეცხლზე შესადგმელათ, ყარაბოღლიმ დასტაცა დიდ ქვაბს ხელი და ცეცხლში შედგა.

ივახშმეს და დაიძინეს. გათენდა დილა და სანადიროთ გაემზადენ. ყარაბოღლისაც სთხოვეს რომ სანადიროთ გაჰყოლოდა. ყარაბოღლიმ წასვლის დროს ხელმწიფის შვილს უთხრა: შენ რომ რამე გაგიჭირდეს, როგორ გავიგოვო? ,,ხელის გულზე წყალი დაისხი და თუ სისხლათ იქცა, იცოდე, დიდ გაჭირვებაში ვიქნებიო‘‘.

(დასასრული იქნება).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფუტკარი.

(ნათელა კავსაძეს).

ღვთის მუშას მეძახიან,
დავფრინავ და დავბზუი,
უანგარო მშრომელი
არავისთანა ვსტყუი.

სადაც ყვავილებია,
თავს ვევლები ყველასა,
არა ვგევარ პეპელას
წინწკალ-კაბა-ჭრელასა,

მუქთათ რომ დაფრიალებს
მინდვრათ ფარი-ფურითა
და ხშირად რომ მიყურებს
სულელური შურითა.

მე ყვავილებს მტვერს ვაცლი,
ვზიდავ სუსტის ფრთებითა,
ყველას უმასპინძლდები
თაფლით სავსე სკებითა.

სოფლათ ჩემის ნაყოფით
ბავშები რომ სტკბებიან,
ტყეში დათვის ბელებიც
ნაკლებ როდი ძღებიან.

ცოცხლისაც ვარ, მკვდრისაცა
წოდებული ბზუილათ
და ვინც დევნას დამიწყებს
თავს აიგდებს ტყუილათ.

შიო მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანგრეული ოჯახი.

(გაგრძელება)

ბრძოლის შეწყვეტის უმალ ბათომის მოქალაქენი შეუდგნენ ქუჩების გასუფთავებას, დაზიანებულ შენობების დათვალიერებას და დაჭრილ და დახოცილთა მოვლა-პატრონობას. ის ბანკი, რომელშიაც ალექსი გიოშვილი მსახურობდა ერთი პირველ შენობათაგანი იყო, რომელიც ინჟინერთა კომისიამ დაათვალიერა. დათვალიერების დროს მუშებს რაღაც გამოურკვეველი გმინვა-კვნესა მოესმათ და მაშინვე მიხვდნენ, რომ აქ ვიღაც უბედური იყო მიწის ქვეშ მოყოლილი; საჩქაროთ და ფრთხილათ გადათხარეს ის კუთხე, სადაც ალექსი ამ ორი დღის წინათ ნანგრევებმა დაიტანა და მართლაც მალე აღმოაჩინეს გაშეშებული გვამი გიოშვილისა.

ის პირ აღმა ეგდო მთლად გალურჯებული, თავი და პირი დასიებული და დაკაწრული ჰქონდა, იარებიდან ნადენ სისხლში ნარევი მიწა და მტვერი სქლათ გადაჰკროდა სახეზედ და ამოემსო თვალები, ყურები, და პირი...

ის საჩქაროთ გადაიტანეს უახლოეს საავათმყოფოში და პირველ დახმარების აღმოჩენაზედვე ალექსი გონს მოვიდა, თვალები აახილა, მიიხედ მოიხედა და მაშინვე ცოლშვილი იკითხა:

ელიკო სად არის?.. ბავშები გადარჩნენ?.. მიჩვენეთ!:.. ძლივ ძლივობით ამოილუღლუღა და კვლავ გონება დაჰკარგა. ავათმყოფის დასამშვიდებლათ მაშინვე კაცი გაგზავნეს და იმანაც ხომ ასმათი ინახული, მაგრამ პასუხი კი ველარ მოუტანა, რადგანაც სხვა ავათმყოფებს სხვა საავათმყოფოებში გააყოლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსის თავი მთლად დაჩეჩქვილი აღმოაჩნდა, ძვლებში კენჭები ჩასჭდეოდა და აპერაციები დასჭირდა, ჭრილობამ მძიმე ავათმყოფობა გამოიწვია და დიდის ხნით დასჭირდა გიოშვილს უძრავათ წოლა და შეურყეველი მოსვენება.

ასმათს კი ნაპოვნი პური მალე გამოელია: ორმა დამშეულმა ბავშმა და იმათზედ არა ნაკლებ დამშეულმა მეგობარმა ქედანამ ანაზდეულათ გადაყლაპეს და სიმშილმა კვლავ გაინავარდა უპატრონოთ დარჩენილ ბავშებზედ. მაგრამ ასმათმა სულგრძელობა არ დაჰკარგა, ტირილი და წუწუნი არ დაიწყო. ის როგორც უმფროსი გონივრულათ მოიქცა, ხელში აიყვანა თავისი ძვირფასი ტვირთი გოგი და გაუდგა ბათომის ქუჩებს; აქა იქ უკვე დაბრუნებულ ლტოლვილთ შეეხმაურა, გამოჰკითხა თმვისი ქალბატონის ამბავი, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი უთხრეს. ბევრმა შეიბრალა უპატრონოთ დარჩენილი და მოწყალება გაუწოდეს. ზოგმა ფული მისცა, ზოგმა პური უთავაზა, ზოგი სადილით გაუმასპინძლდა.

ასმათმა საავათმყოფოებიც ჩამოიარა, იკითხა თავისი ავათმყოფი ბატონი, მაგრამ იქაც ვერაფერი შეიტყო. ექიმებთან ვინ მიუშვებდა და მოსამსახურეებმა რა იცოდნენ ათასში ვინ იყო ამისი პატრონი. ასე უსახსროთ და უპატრონოთ დარჩა ქუჩაში საწყალი გოგო, იმისი ძვირფასი ტვირთი გოგი და მისი ერდგული მეგობარი პატარა ფინია „ქედანა“.

ასმათი დილითვე გამოძვრებოდა ხოლმე თავშესაფარის ფანჯრიდან და თავის ოჯახის თანხლებით სამათხოვროთ ხელგაწვდენილი კარდაკარ დადიოდა. ხან დაღალულ-დაქანცული მიჯდებოდა სადმე ქუჩის კუთხეში, კალთაში ჩაძინებული ბავშით და ჩუმათ, მოწიწებით ხელგაწვდენილი აგროვებდა გროშებს იმის სასაზდოვებლათ. აქვე გვერდ უწვა თავისი ერთგული მცველი ქედანა, რომელიც თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა პატარა მძინარეს და ყოველთვის მზად იყო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვა იმის მყუდროება და ვაი იმის ბრალი, თუ ვინმე გაჰბედავდა და დაარღვევდა ამის მოსვენებას და განსაცდელს მიაყენებდა ვინმე მის მფარველობაში მყოფ ნებიერს.

გავიდა დრო და ჟამი. ალექსი გიოშვილი გამობრუნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხზე ადგომა შესძლო და ჯერ ისევ სუსტი და ფერმიხდილი, ჯოხზე დაბჯენილი, წავიდა საავათმყოფოდან თავის ოჯახის დასახედათ. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ცოლშვილი სახლში არ დაუხვდებოდა, მაინც გული მწუხარებით აევსო, როდესაც სახლის კარი გამოკეტილი დაუხვდა, ფანჯრის დარაბები დახურული იყო, კარებთან მისავალი ბილიკი ბალახით და ჩეჩქით სავსე.

— ღმერთო ჩემო! ნეტა სად წავიდა ჩემი ელიკო, სად წაიყვანა ჩემი ძვირფასი ჭუკები? სად არიან, რა მდგომარეობას განიცდიან? ამოიკვნესა იმან და ზეცას შეხედა, რომ იქ ამოეკითხა თავისი სასოწარკვეთილების ნუგეში.

აკანკალებული მუხლებით ჩამოჯდა გარეთა კიბეზედ, თვალებზედ ხელი მიიფარა და მწუხარებით დაიწყო ფიქრი, თუ საით წავიდა ამის ცოლი, სად იპოვნიდა ბინას, ან რა მიზეზით არ დაბრუნდა აქამდე თავის სახლში, როდესაც მთელი ქალაქი თითქმის დაუბრუნდა თავის კერას?

საღამო ჟამი მოახლოვებული იყო. ასმათი ჭუჭყიანი კაბით, თმა გაწეწილი, გოგის ხელ-დაჭერილი მოდიოდა თავის ბინაზედ და თან გულმოდგინეთ ანგარიშობდა თავის ნაშოვარს და ითვალისწინებდა, თუ რამდენ გირვანქა პურს უყიდდა თავის ოჯახს. ქედანა კი დაწინაურდა და ფეხაჩქარებით შევიდა თავიანთ ეზოში, მისმა ალღომ მალე იგრძნო ადამიანის სიახლოვე და შეჰყეფა ჯერ ფრთხილათ, მერე კი უფრო მკაცრათ, განრისხებით...

ალექსიმ თავი მაღლა აიღო და სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა მთელ სხეულში.

— ქედანა?!. შენ?—მაგრამ სათქმელი ვერ დაათავა, ძაღლი ზედ შევარდა, თავპირი გადაულოკა, ხელები დაუკოცნა, გაგიჟებით, აღტაცებით ელერსა ასე მოულოდნელათ ნაპოვნ პატრონს. წმუკუნით, ყეფით, ხტუნაობით გარს შემოევლო და მერე თითქო რაღაც გაახსენდაო, ქუჩაში გავარდა და მანამ გასახტებული და გაოცებული ალექსი გონს მოვიდოდა, ძაღლი კვლავ შემოვარდა ცოფიანივით ენა გამოგდებული, კუდ მოკაუჭებული ფეხებში ეცა, წმუკუნით, ყეფით თითქო რაღაც უთხრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ახარა და კვლავ გავარდა ქუჩაში, საიდანაც ასმათი სა-
ჩქაროდ სახლს უახლოვდებოდა და ახლა იმას გაებლანდა ფე-
ხებში... ახარა კარს მომდგარი ბედნიერება.

— რა ამბავია? რამ გადაგრია—შეჰყვირა გოგომ გადა-
რეულ ძაღლს და უცებ ხმა ჩაუწყდა, გოგის ხელს უფრო მა-
გრა მოუჭირა ხელი და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა.

— ბატონი!?

— ასმათ, გოგი! ჩემი გოგი!

ერთ დროს შეჰყვირეს მოსულმა და იქ მყოფმა და ერთ-
მანეთს გადაეხვივნენ.

—

ეს ბედნიერნი აქ დავტოვოთ და ახლა თბილისში დარჩე-
ნილ ამათ ოჯახის წევრებს დაუბრუნდეთ: თუმცა დაღლილო-
ბისგან და მთელი ღამის უძილობით ჩვენი მგზავრები მკვდრე-
ბივით მიეცნენ ძილს ჩილინგდრიანთ აივნის კუთხეში, ერთად
ერთ დოშაქზე და ერთად ერთ საბან ქვეშ მოკუნტულები ოთხ-
ოთხი სული, მაგრამ მზემ თვალი ამოჰყო თუ არა, ისინი უკვე
გაღვიძებულნი იყვნენ. ვიწრო ქუჩა, სატივო, ღარიბ მუშა
ხალხით დასახლებული, დილის რიჟრაჟზედ ფეხზედ იდგა და
გარშემო ყაყანი, ტივების მზიდველთა ალიაქოთი და ხმაურო-
ბა გაისმოდა. ზოგი დედაკაცები კოკებით მხარ ზედ წყალზედ მი-
დიოდნენ ლაპარაკით, სხვანი ძროხებს ერეკებოდნენ ნახირში გა-
სარევათ, მამაკაცები სამუშაო იარაღებით აღჭურვილი ქალაქის-
კენა მიეშურებოდნენ, ვერის მებაღეების ბიჭები მწვანილით
დატვირთულ სახედრებს ბაზრისკენ მიაგოგმანებდნენ, თან ყვი-
თელი მჭადით იღმურძლებოდნენ და თან ერთმანეთს ელაზ-
ღანდრებოდნენ. მაღლიდან ვერის სასაფლაოს ეკლესიის ცის-
კრის ზარის ხმა უერთდებოდა საერთო ხმაურობას და თავისის
წკრიალა ხმით ჩასძახოდა მძინარეთ: „გაიღვიძეთ, ადექით!“

ამათი სახლის პატრონი სიმონა, დღეს გამოფხიზლებუ-
ლი დარცხვენით იწვევდა თავის სიდედრს ოთახში.

— მართალია გაზაფხულია, მაგრამ ღამე მაინც საგრძნო-
ბლად ცივა. ოთახში მობრძანდით! მე ეხლავე სამუშაოზედ წა-
ვალ და ხელს აღარ შეგიშლითო...

— მადლი მომიხსენებია!—თავისებურათ უკმეხად მიუგო ელისაბედმა სიძეს.—აგრეა, ნუნუა ბევრს სისულელეს ჩაადენიებს ადამიანს, კიდევ კარგია, რომ დანაშაული შეინანე! და სიძის წასვლის უმალ სტუმრები ოთახში შეიყვანა. მაშიკოც ქმრის წასვლის შემდეგ წელში გაიშალა და მასპინძლობას მიჰყო ხელი. მალე აჩუხჩუხებული „სამოვარი“ მაგიდაზე იდგა. კვლავ ჩაის სმა და ნადიმი გაიმართა.

— ახლა კი გზას გაუდგეთ! ჩაის შემდეგ უთხრა ელისაბედმა ელიკოს.

— წავიდეთ, ვეძებოთ თავშესაფარი და ლუკმის სახსარი თქვენთვის. მე ბევრი კარგი ნაცნობი მყავს ქალაქში. და თუ არის რამე საქველმოქმედო დაწესებულება ლტოლვილთათვის, გვასწავლიან, გზას გვიჩვენებენ, და წავიდნენ.

ბავშები კი მაშიკოსთან დარჩნენ.

— შენ გენაცვალე, მოწიწებით უთხრა ელიკომ სახლიპატრონს,—ყური უგდე, არსად გაიფანტნენ ამ უცხო ქალაქში;—და უკან გამოუდგა ელისაბედს. ბავშები ძრიელ დაღონებულნი დარჩნენ უცხო სახლში და ტირილის გუნებაზე გამოიყურებოდნენ; მაშიკოს ქალი ნუშო კი კარებში იდგა და რაღასაც ანიშნებდა იმათ. ცნობის მოყვარეობამ გასჭრა და ისინი მალე შეუერთდნენ თავის ახალ მეგობარს და კარში გამოვიდნენ, იქ კი მთელი გროვა გოგო-ბიჭებისა ელოდათ უცხო ქალაქიდან გამოქცეულებს. გამოსვლის უმალ გარს შემოერტყნენ და ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდნენ.

— როგორი „ბეჟენცები“ არიან?—ეუბნებოდა ერთი მეორეს.—ასე ლამაზათ აცვიათ. ხედავ „პოლსაპოშკები“ ახალი ტანისამოსი! აკი „ბეჟენცებს“ ტომრები ასხიათ, ფეხშიშვლები, დაგლეჯილები დადიან, ჭუჭყიანები?

ნატო და იმის ძმებიც, როგორც შუა ქალაქში მცხოვრებნი და შუათანა მოხელის შვილები სრულიად არ იცნობდნენ ქალაქის განაპირა მცპოვრებთა მუშათა უბნებს და ჰკვირობდნენ, რომ თბილისის ქალაქელებს ასე ცუდათ ეცვათ: ფეხშიშველები, ნახევრათ ტიტვლები, პირდაუბანელი, გაწეწილები იყვნენ.

— შენ რა გქვიან?—შეეკითხა ნატო თავის ახლო მდგომ გაწეწილ მოზრდილ გოგოს.

— კეკელუა, უპასუხა იმან.

— დღეს სკოლაში არ წახველ?

— სკოლაში? მე? არა!.. ბაშმაკები არა მაქვს... არც მცა-ლიან, დედა სარეცხზეა წასული და მე ბავშები მაბარია.

— ე შენა? გიმნაზიის კაბა რომ გაცვია, განა სწავლობ კიდეც აგრე პაწაწინა?

— პატარა რათ ვიქნები! ათისა ვარ, ამაყათ მიუგო ნატომ. ორი წელიწადიც არის რაც გიმნაზიაში ვსწავლობ. ეხლა ჩვენი გიმნაზია დაიკეტა, რადგან იქ ომია და მცხოვრებნი სულ გა-მოვიქეცით, როცა ომი გათავდება და გიმნაზია გაისხნება, ჩვენ ისევ ბათომში წავალთ და ისევ გიმნაზიაში ვივლი.

— ნეტაი შენ!—ამოხვრით მიუგო კეკომ.—მე კი ბარემ მინდა სწავლა, მაგრამ ვინ მაღირსებს...

ლელი და მიხოც თავისებურათ გაეცნენ ტოლ-ამხანაგებს და მალე მთელი კრებული ეზოდან ქუჩაში გავიდა და იქ კი-დევ სხვა ბავშებს შეუერთდა და მათთან ერთად ქუჩას დაჰ-ყვნენ და იმის ბოლოში პატარა წყლის პირას გაჩნდნენ.

— უი ჩემ თვალებს! რაღა პასუხი უნდა გავცე იმათ მშო-ბელს!—და საჩქაროდ ქუჩაში გავარდა და მაღალი ხმით ძახილი დაუწყო ნუშოს.

ბავშები ამ დროს უკვე ვერის წყლის ნაპირას ისხდნენ და გაფაციცებით იბანდნენ ხელ-პირს, იგრილებდნენ შუბლს, ისველებდნენ ტანისამოსს, ფეხთსაცმელს.

პატარა ლელი წყლის ნაპირას კენჭებს ჰკრეფდა და სველ-სველს კაბის კალთაში იგროვებდა, მიხო ბაღის ღობეებთან ყვა-ვილებს, ბალახებს ჰგლეჯდა და ლამაზ ქუდში ილაგებდა. ნა-ტო კი როგორც უმფროსს შეეფერება დარბაისლათ იჯდა წყალზედ გადებულ ხის ბოლოს და თავის დოსტს კეკოს ება-ასებოდა, თან თვალ ყურს ადევნებდა წყლის პირას მოფუს-ფუსე დედაკაცებს: ზოგი მათგანი წყალში სარეცხს ავლებდა, ზოგი ქვაბებს ხეხდა ქვიშით, ზოგი სარძევე ქურქელს რეცხდა, ასუფთავებდა.

იქვე ახლოს ვერის წყლის შესართავთან მტკვარზედ ბორანი გადი-გამოდიოდა, ხალხი გაჰყავ-გამოჰყავდა.

უცებ ვიღამაც დაიძახა:

— ბორანზედ „არლანს უკვრენ, კინტოები თამაშობენ, მოდი მტკვარზედ გადავიდეთ, ვნახოთ რა ამბავია!

— გადავიდეთ, გადავიდეთ! აქეთ-იქიდან მისცეს ხმა ბავშვებმა და ფაცა-ფუცით იწყეს ვერის წყალზედ გადასვლა. ზოგი ქვა-ხიდზედ ხტებოდა, ზოგი წყალზედ გადებულ ხეზედ მიცოცავდა, ზოგი უფრო ჭკვიანი და ხერხიანი ცოტაოდნათ მოშორებულ ხიდზედ გადადიოდა.

რასაკვირველია, ჩვენი ბათუმელებიც ფეხის ხმას აჰყვნენ, მიხო, როგორც ვაჟკაცი ქვა-ხიდზედ ხტომით აპირებდა გასვლას, მაგრამ უჩვევები ვერ მიჰყვნენ აქ დაგეშილ ამხანაგებს. ლელი იქვე წყლის პირას ცალი ფეხით ჩავარდა წყალში და შეშინებული უკან გაბრუნდა, მიხო კი ორ-სამ დიდ ლოდზედ გადახტა, მაგრამ მესამეზედ ფეხი წაუსხლტა და თავიან-ფეხიანათ შიგ შუა წყალში მოიდო ტყაპანი.

ერთი ალიაქოთი ასტყდა: ზოგი იცინოდა, ზოგი ყვიროდა, ზოგი საშველათ იწვევდა წყლის პირად მსხდომ დედაკაცებს. მიხო ცდილობდა ადგომას, მაგრამ დასველებულ ტანისამოსს ვეღარ სძრავდა. დედაკაცები საჩქაროდ მიეშველნენ ბავში ამოიყვანეს წყლიდან და ნაპირს გამოიყვანეს, იმის ლამაზი ქუდი კი ვერის წყლით ქვევით მტკვრისკენ მიდიოდა. ნატო გულ გახეთქილი მივარდა გალურჯებულ მიხას, მოეხვია, ტირილი დაიწყო. სწორედ ამ დროს მაშიკო საშინელი გააფთრებული მივიდა წყლის პირს და თავში ხელი შემოიკრა:

— უი ჩემ თვალებს, უი ჩემ თვალებს! ახლა რაღა პასუხი გავცე მაგის პატრონს და გაბრაზებულმა რამდენჯერმე თავში ჩაჰკრა თავის ნუშოს.

— შე არამზადავ, შენა! რად მოგიდიოდა უცხოელები წყლის პირას, რათ მოგიდიოდა!—და ამოზუნზლული ტალახით დათხუპნული ბავშები შინისკენ დაირეკა.

ეკ. გაბაშვილისა.

(დასასრული შემდეგ)

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი ქვესკნელისა.

აბასთუმნის, თბილისის, წყალტუბოს და სხვა ბუნებრივი ცხელი გოგირდიანი აბანოები პირდაპირ კლდის ნაპრალიდან ამოჩუხჩუხებენ. კაცს ეგონება დედამიწის გულში გრძნეულნი წყალს ადუღებენ, გოგირდს ურევენ და მზა-მზარეულს 40° ცხელ წყალს გვაწვდიან საბანაოთ, საკურნებლათ.

უფრო დიდი სასწაული ხდება ჩრდილო ამერიკაში ახალ ზელანდიასა და ისლანდიაში. იქ ცხელი მადნეული წყაროები დრო გამოშვებით ამოხეთქს ხოლმე დიდებულ შადრევანს. ორთქლათ ქცეულ აუარებელ წყალს ხშირ წინწკლებათ, ღრუბლებამდე ისვრის უსაშინელესი ძალა. ამ გვარ შადრევანს გეიზერი ეწოდება. გეიზერს ყელი ძაბრს უგავს, შიგ ნადგამი ცხელი წყალი 80°, ხოლო 22 ადლის სიღრმეში რო გაზომეს სიცხე 126° აღმოჩნდა. აი ეს ქვედა წყალი დრო გამოშვებით იფეთქებს ხოლმე საშინელის ქექა-ქუხილით. ამ დროს ჯერ ძაბრის წყალს თან აიტაცებს, ცამდე ააქვს და მერე პირდაპირ ყელიდან სცემს შადრევანი. ასე გასტანს ხოლმე 24-30 საათს, მერე კი ისევ დაისვენებს, ვიდრე დრო დაუდგება. მაგრამ საკმაოა ყელში რამდენიმე ქვა ჩააგდოთ, იმ წამსვე დაიგრიალებს, იმ ქვებსაც ამოისვრის და ჩვეულებრივ მშვენიერ შადრევანსაც.

* * *

დედამიწა ბევრნაირად ამხელს თავის გულის საიდუმლოებას. განა ახტალა-კი საკვირველი არ არის!..

კახეთში სოფ. გურჯაანის ბოლოს სოფლის ოდენა ჩავარდნილი ადგილია, სიგრძით იქნება ორი ვერსი და სიგანით ერთი ვერსი. მთლად ეს ალაგი ნაცრის ფერია, გეგონებათ ნაცარტუტა გადაუსხამთო ზედ უბრალო რამ ბალახიც კი არ ხარობს. აქ 7-8 ადგილას ამობუყ-ბუყებს გეძა, ნაცრის ფერი ცივი ტალახი კუპრ შერეული. თვითეულ წყაროს კალოს ოდენა ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილი უჭირავს. ვინ იცის რამდენი ათასი წელიწადია—დღე და ღამე ამოდის და ამოდის ეს აუარებელი თხელი სამკურნალო ტალახი.—ნეტა სადა აქვს სათავე, რითი ვერ გამოილია. ხალხში დარჩენილა ლეგენდა (თქმულება).

„ქრისტე ღმერთს ფერიცვალება დღეს ჩამოუვლია ამ სოფელზე და გაჩაღებული კალოობა დახვედრია. ყველაზე ერთგულად მღვდელი მუშაობდა. ქრისტემ ჰკითხა“.

— რათ მუშაობთ, დღეს ხო ფერიცვალება არისო?

„ჩვენმა ქალებმა დიდი ხანია ფერი იცვალეს“-ო მიუგო მღვდელმა.

ქრისტემ დასწყევლა, ეს სოფელი მიწაში ჩაძვრა და მას მერე ამოხეთქა ტალახის წყაროებმაო.

კასპის ზღვის ნაპირას, ბაქოს მიდამოებში 80-მდე გორაკია გაფანტული. თავწაკვეთილ შაქრის თავებივით ამაღლებულან და რაღაც უცნაურ ტალახს აჩიფ-ჩიფებენ. თვით კასპის ზღვაში რამდენჯერ ამოუხეთქია სანძარს (ვულკანს), ამოხეთქილა გორაკი, კუნძული და მერე კი ისევ მოსპობილა. ერთი ამისთანა კუნძული ამ ოციოდე წლის წინეთ აიბურთა კიდეც და ჩაწვა კიდეც.

* * *

ცხადზე უცხადესია, რომ დედამიწა წინეთ არ იყო ამ სახისა, როგორისაც დღეს არის და არც თუ შერჩება ეს სახე სამარადისოთ. რაც დრო მიდის დედამიწა თანდათან ცივდება, იკუმშება, პატარავდება, იღმაჭება, ქერქი ზედ ასკდება, ნაოჭიანდება და სხვა.

— მას მერე რაც ქვეყნად წყალი გაჩნდა, დედამიწას აღარა აქვს მოსვენება. მართალია წყალია მიზეზი იმისი, რომ მცენარე აღმოცენდა და ცხოველიც ბოგინობს, მაგრამ ვნებაც დიდი შესძლებია: ზღვა-ოკეანე, მდინარე და წყარო-ტბები, წვიმა და ნიაღვარი, თოვლი და მეტადრე ყინული ანგრევს, ღრღნის, ნაპრალებათ ხეთქს მთასა და ბარს; თოვლისა და წვიმის წყალი ამასაც არ ჯერდება, ჩადიან ნიადაგში, ნაკადულები იკვლევენ გზას ქვესკნელისკენ, რადგან ზოგი მიწა ადვილად იშლება წყალში.—სხვათა შორის ჰაერის სითბო-სიცივე (ტემპერატურა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი და ქარიშხალი პიტალო კლდეებსაც კი ფშხვნის. ეგ რომ გინდათ, არიან იმისთანა ჭია-ღუა-ბაქტერიები, რომელნიც ადვილად სთხრიან დედამიწას. უთუოთ იცნობთ ჭიაყელას, აი ანკესზე რო ააგებენ ხოლმე თევზის საჭერათ, ეს ჭიაყელა მთელ მინდორს და ხნულ ნაფუზრებს მშვენივრათ დააფაცხავებს ხოლმე, რითაც ზედაგი ერთი ორად ნაყოფიერდება.

ყველა ამ გარეგან მტრებს ასე თუ ისე იქნება კიდეც გაუძლებდა, მაგრამ დედამიწა ქვესკნელში ჯერაც ატარებს ყველაზე უსაშინელეს მტერს—ცეცხლსა და ღველფს. „ციხე შიგნიდან გატყდება“—და ასეც არის.

დიაღ დედა მიწის გულში რაღაც წარმოუდგენელი ჯოჯოხეთი ტრიალებს, ზოგიერთა მეცნიერის აზრით სიცხე და ბუღი ქვესკნელში 20.000° უწევს, დეე იყოს თუნდ ამის ნახევარი. ერთის სიტყვით რკინა, ოქრო, ვერცხლი და სხვა ყველა ლითონები გამდნარი კი არა და ოშხივრათ, გაზათ არის ქცეული.—აბა, ახლა ამისთანა საშინელ ცეცხლს და გახურებულ გაზს უეცრად ცივი წყალი დაასხით, უსათუოდ რაღაც საშინელება, კატასტროფა მოხდება, მთელ დედამიწას ბურთივით შეარყევს შეათამაშებს. ჰო და რითი ვიცით რო ზოგიერთა ზღვის ფსკერი გაბზარული არ არის. მეზღვაურნი არა ერთხელ ყოფილან იმის მოწამენი, როდესაც ზღვაში ვულკანს ამოუხეთქია, მაშასადამე არც ზღვის ფსკერია საიმედო—წყალი გაედინება და გულის ცეცხლში ჩავარდება. ამიტომაც ვულკანების ამოხეთქილ ლაფში მარილი ჭარბად ურევია. ასე თუ ისე წარმოუდგენელი ძალაა დედამიწის გულში დაგროვილი.

* * *

როცა ახლად დაწურულ ტკბილით ქვევრს მხრებამდე გავავსებთ და ჭაჭას მივცემთ, ამ ქვევრის სარქველით მთლათ დახურვა არ შეიძლება—მაჭარი რო დუღს შიგ იმდენი გაზი გროვდება (ნახშირ ჟანგა გაზი), რომ ქვევრს გახეთქს. ამიტომ სარქველის ქვეშ პირთან დააყოლებენ ხოლმე სასულეს, ჭანჭრაქს (წნელს, სახრის ნატეხს და სხვა). ჰო და რამდენ მილიონჯერ უფრო ძლიერია დედამიწის გულში დაგროვილი გაზი!? რა საშინელის ძალით გაიკვლევს ხოლმე გზას და ამოხეთქს, ამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნთქავს, თანაც გულის ბოღმას მოიშორებს როცა დედამიწის ქერქის ზემოთ თავისუფლათ ამოიქშენს. მერე ხო მოჰყვება და დრო გამოშვებით ისვრის ქვესკნელიდან აუარებელ გაზს, ფერფლს, ლაფს და ათას გვარ მასალას. მეცნიერები მოგვითხრობენ 1883 წელს ვულკანმა კრაკატაუმ რო ამოხეთქა, მისგან ამოსროლილმა ფერფლმა გერმანიის ტოლა კი არა და უფრო მეტი ადგილი დაჰფარაო. ჰაერში გაიფანტა ფერფლი და ეკვატორიდან ვიდრე პოლიუსამდე მთელი სამი წელიწადი ღრუბელივით ჩრდილავდა დედამიწასაო.—ეს კიდევ არაფერი. სუმბავის კუნძულზე ვულკანმა გუნუნგ-ტემბირომ 1815 წ. აპრილში ამოხეთქა, ამოიტანა დედამიწის ზურგზე ფხვიერი მასალა, რომელიც უდრიდა სულ ცოტა 9 ბილიონ კუბიკურ ფუტს. ეს ამოდენა მასალა საკმარისია, რომ აშენდეს ცხრა მთა ვეზუვიის ოდენა. უფრო მეტის თქმა შეიძლება. ისლანდიის ვულკანმა 1783 წ. ამოხეთქა იმოდენა მასალა რო ვეღარც კი გამოიანგარიშეს, მხოლოდ ის კი დაამტკიცეს, რომ 18 მთა აშენდებოდა ვეზუვიის ტოლაო. ტალახმა დაჰფარა მოედანი 60 უბეური მილი, რომლის სისქე უდრიდა 600 ფუტს, მაგრამ ყველა ვულკანი ძლიერი როდია.

* * *

დღეს მთელ დედამიწის ზურგზე და ზღვა ოკეანოშიაც შვიდასამდე ვულკანია ცნობილი. ამათ შორის 400-მდე ჩამქრალია, დაუქმებული, ხოლო დანარჩენები (300-მდე) დღესაც არ ანელებენ თავის ქურას. დრო გამოშვებით ამოხეთქენ ხოლმე, ამოიქშენენ ზოგი ნელათ, ზოგი კი მეტად მძლავრათ.—დედამიწის ქერქმა გაცივება დაიწყო თუ არა, ვულკანებიც თან დაჰყვა—ყველგან მეჭეჭებივით ეყარა ქერქზე. ის უწინდელი ვულკანები სადღაა. ზღვა წყალმა ყველაფერი მიანგრ-მოანგრია, გაასწორა.

ჩვენი დროის ვულკანებში უფრო კარგათ არის შესწავლული ევროპაში მომქმედი ვულკანი ვეზუვი, რომელიც მდებიარობს ქვემო იტალიაში, ნეაპოლის ახლოს. სიმაღლით არის 4.850 ფუტი. დიდათ გაითქვა თავი იმ საშინელებით რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მან მოახდინა ამ ორი ათასი წლის წინეთ. ვეზუვიმ 79 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე ისეთის ძრიელებით ამოჰხეთქა, რომ ქვეშ დაიტანა, ტალახ-ნაცარ ქვეშ დამარხა ორი ქალაქი: ჰერკულანი და პომპეი და ერთი სოფელიც სტაბია.—

1706 წლიდან უკვე დაიწყეს ამ შესანიშნავ აკლდამების ნანგრევთა ამოთხრა, მოწმენდა. კაცობრიობის ისტორიას დიდი მასალა შესძინეს და თანაც ბევრი ძვირფასი განძეულობა ამოამზეევს. მართლაც და დღეს იტალიაში მოგზაურმა როგორ შეიძლება არ ნახოს ამ ქალაქის ნანგრევებიც. საინტერესოა რა თქმა უნდა, ვიცოდეთ როგორ ცხოვრობდენ 2000 წლის წინეთ. როგორი იყო სასახლე—დარბაზი, ქუჩა-მოედანი, ძეგლი-მატურები და სხვ.

* * *

დღეს საქართველოში მთას უფრო მეტი ადგილი უჭირავს ვიდრე ბარს. აბა დააკვირდით, ეს უზარ-მაზარი მთები, მთაგრეხილი და მათი ტოტები, სერი და გორაკი სულ დედამიწის გულიდან არის ამოხეთქილი, თუ არა?.. ხო ვულკანების ნამუშავარი-ნახელვნარია და ეს აუარებელი, უანგარიშო მასალა ქვესკნელიდან ზევით ამოტყორცნილი. ახლა ვიანგარიშოთ რამდენი ათასი საუკუნე დასჭირდებოდა კავკასიის მთების აშენებას. დავასახელოთ თუნდ ეს ორ ზღვას შუა გაწოლილი კავკასიონის მთა-გრეხილი და უკვე ჩამქრალი ვულკანები: არარატი, ალაგიოზი, იალბუზი, ყაზიბეგი ბორბალო და სხვა. დიდი ხანი როდია მას აქეთ რაც სომხეთის ვულკანები ჩაჩუმებულან და ვინ არის იმის თავდები რომ ერთ მშვენიერ დღეს კიდევ არ ამოხეთქენ. მერე რაო, დედამიწის ზურგზე განა მარტო კავკასიონის მთებია—ნახევარზე მეტი დედამიწისა სულ მთებითაა დატვირთული.

თუ მთები ცეცხლის ნამუშავარია, სამაგიეროთ ვაკე, ბარ ადგილებს წყალი ამზადებს, მართლაც, აბა, დააკვირდით დასავლეთ საქართველოს, უშველებელ ქვაბს ჰგავს, ზღვა მთების მწვერვალამდე ლივლივებდა და ახლა კი მის ფსკერზე ვცხოვრობთ. ასეთივეა მესხეთ-ჯავახეთის მინდორ-ვაკე და ქართლ

კახეთის ხეობები. რვა ვერსის სიმაღლე ჰიმალაის მთაზე (აზიაში) მეცნიერმა მოგზაურებმა ზღვის ცხოველების ჩონჩხი იპოვეს: ლოკოკინები, ნიჟარები და სხვა. მაშასადამე ნურც ის გვიკვირს რო იალბუზის მთა ოდესღაც ზღვაში იყო ჩამალული.

* * *

დიაღ, რა არ გადაჰხედია საბრალო ჩვენ პლანეტა დედამიწას თავის სიცოცხლეში. ან კი დღეს და მომავალში ვინ მოასვენებს. მიუხედავათ ამდენი ვარამისა დედამიწა შესანიშნავათ ასრულებს თავის მოვალეობას, სასტიკი დისციპლინა აქვს დაცული. მარად ტრიალებს, ბზრიალებს, ცდილობს ყველა თავისი მხარე მზეს უცხუნოს. მზის ცხოველ-მყოფელ ნაპერწკლებით ყველა კუთხე ქვეყნისა გააძღოს და თანაც წინ მირბის, მისრიალებს, რომ თავის დედას, დიდებულ მზეს, თავს შემოევლოს, გარს შემოუაროს და ასე მარად და მარად ვიდრე ყველა პლანეტები მზის გულში არ ჩაცვივიან და კვლავ ცეცხლად არ გადაიქცევიან.—იტყვით მერე ჩვენ რაღა გვეშველებაო. ჯერ ერთი რო ჩვენ არავინ რას გვეკითხება და მეორეც თუ ეს ჰიპოტეზა გამართლდა ერთი მილიონი წელიწადი დრო მაინც დასჭირდება, რომ ეს საშინელი კატასტროფა მოხდეს. მაშასადამე ჩვენ კი არა და ჩვენ მომავლების თესლის თესლსაც არხეინად შეუძლიანთ იცხოვრონ იმ უმშვენიერეს წალკოტში, რომელსაც საქართველო ჰქვიან.

**ილ. ალხაზიშვილი.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არსებობისთვის ბრძოლა და ურთ-ერთი დახმარება სულდგმულთა სამეფოში.



ბუნებაში ცხოველთა შორის მუდმივი ბრძოლა არსებობს, რომელსაც ის გარემოება ჰქმნის, რომ ცხოველები ჩქარა მრავლდებიან, ხოლო საზრდო-საკვები ისეთივე სიუხვით არ მატულობს და ყველას ვერ ჰყოფნის. ყოველი ცხოველი ცდილობს მეტი ღონე, მეტი ხერხი და გამჭრიახობა გამოიჩინოს რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს და საუკეთესო ლუკმა დაინარჩუნოს.

ამ ურთი-ერთ ბრძოლის გარდა ცხოველს დიდი ბრძოლა სჭირდება ბუნების მოვლენათა წინააღმდეგ. სიცხე, სიცივე, მიწის უნაყოფობა, სივიწროვე და სხვა წარმოადგენს ბუნების იმ მოვლენათ, რომელთაც ყოველი სულდგმული არსება იძულებულია ანგარიში გაუწიოს, სძლიოს მათ და თავისუფლათ გამრავლდეს, ან დამარცხდეს და —გადაშენდეს. ამ მოვლენას მეცნიერები „არსებობისთვის ბრძოლას“ უწოდებენ.

ამ ბრძოლის ასპარეზზე ზოგი ცხოველი ცალ-ცალკე გამოდის მარტოხელა, და მტრათ მიაჩნია როგორც თავისი, ისე სხვა მოდგმის ცხოველები.

მაგრამ ხშირად ერთი მოდგმის ცხოველები, თავის დასაცავათ, საზრდოს საძებნელათ და შვილების გამოსაზრდელათ ჯგუფ-ჯგუფად ერთდებიან და შეერთებულის ძალებით იბრძვიან მტრისა და ბუნების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში იმარჯვებს მთელი ჯგუფი და გამარჯვების ნაყოფიც მაშინ უფრო თვალსაჩინოა და ყოველი წევრის სასარგებლოთ მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ორმა მოვლენამ მიიპყრო მეცნიერთა და ბუნების მეტყველთა ყურადღება. ზოგის აზრით უმთავრესი მოვლენა არსებობისა არის განკერძოვებული ბრძოლა, რადგანაც იგი განარჩევს ცხოველთა საუკეთესო ნაწილს, რომელიც არ სცოცხლობს და მრავლდება, ხოლო სუსტი ნაწილი კი იღუპება; ამნაირი „ბრძოლა არსებობისთვის“ აუმჯობესებს ცხოველს გონებრივათ და ფიზიკურათ, აუმჯობესებს აგრეთვე მათი ცხოვრების პირობებს და ამიტომ ცხოვრების წინსვლის მამოძრავებელ ძალათ უნდა ჩაითვალოს. ამ მეცნიერთა ჯგუფს ეკუთვნის წარსულ საუკუნის ცნობილი ბუნების მეტყველი დარვინი და მრავალი მისი თანამოაზრე. მართალია დარვინი აღნიშნავდა იმ შემთხვევებსაც, როდესაც ცხოველები ცალ-ცალკე კი არა, ურთი-ერთ დახმარებით და შეთანხმებით მოქმედებენ, მაგრამ მისმა მიმდევრებმა ამ მოსაზრებას დიდი მნიშვნელობა არ მისცეს.. ამ მიმართულებამ დიდი გავლენა მოახდინა განათლებულ საზოგადოებაზე და ბევრი მიმდევარიც გაიჩინა.

მეცნიერებაში გარდა ამისა არის მეორე მიმართულებაც, რომლის აზრითაც ამ გვარი ბრძოლა არ წარმოადგენს საზოგადოკანონს, არამედ ცხოველებთა შორის არსებობს ჯგუფური, შეთანხმებული ანუ კოლექტიური მოქმედება, ამ კოლექტიური ბრძოლის შედეგში იმარჯვებს, იზრდება და მრავლდება მთელი ჯგუფი, ესე იგი არა მარტო მისი უღონიერესი, არამედ სუსტი ნაწილიც. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ურთ-ერთი დახმარებით ბრძოლა გაცილებით უფრო აუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, ბუნებაში უფრო გავრცელებულიც არის და ამიტომ ასეთი ბრძოლა უნდა ჩაითვალოს უმთავრეს მამოძრავ ძალათ ცხოვრების წინსვლისა, ანუ პროგრესისა. ამ აზრის დასამტკიცებლათ მრავალი მაგალითი წამოაყენეს.

გაოცებაში მოჰყავს მეცნიერები იმ ურთი-ერთ დახმარებასა და კავშირს, რომელიც არსებობს პატარა მწერეების და კიბოების სამეფოში. ავიღოთ მაგალითად მწერი, რომელსაც „მკვდრის ჭია“-ს ეძახიან. ამ მწერს სჭირდება რომელიმე ცხოველის ლეში, რომ შიგ ჩააწყოს თავის პატარა კვერცხები. ლეშის ლპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დროს ჩნდება სითბო, რომელიც ხელს უწყობს კვერცხე-ბის გამოჩეკვას. მაგრამ თუ ლეში ჩქარა დალპა სითბოც ჩქა-რა ეკარგება და კვერცხები არ გამოიჩეკება, ეს რომ არ მოხ-დეს ლეში მიწაში უნდა ჩაიფლას. როდესაც რომელიმე მწერი მაგალითად თავის მძოვრს ნახავს გაიქცევა სხვა მწერებთან,.



აათამაშებს თავის ულვაშებს და აცნობებს მათ ბედნიერ საპო-ვარს. ხუთი-ექვსი მწერი გამოჰყვება მას და ისინი შეერთებუ-ლი ძალით თავის მძორს მიწას წააყრიან. არასოდეს ისინი ამ დროს არ წაიკიდებიან.

მეცნიერი კრაპოტკინი გადმოგვცემს რომ მას უნახავს ქალ. ბრაიტონის აკვარიუმში ზღვის კიბოები. ერთი მათგანი გულაღმა გადაბრუნდა და ძალიან ცდილობდა გულდაღმა გა-დაბრუნებას, მაგრამ მაგარი და მძიმე ბაკანი უშლიდა. მას მიე-შველა ორი მეგობარი, დაუწყეს ქვევიდან ფეხებით შველა, მაგრამ ვერას გახდენ, კიბოები ძირს ჩაეშვნენ და კიდევ ორი კიბო მოიყვანეს. მთელი ორი საათი ეს ოთხი კიბო დასტრია-ლებდა და ეხმარებოდა გაჭივრებაში ჩავარდნილ მეგობარს.

იგივე კიბოები ხშირად იცვლიან კანს, რადგან იზრდე-ბიან, მაგარი ბაკანი კი ვერ იზრდება და სკდება. იმ დროს კიბო ძალიან სუსტდება და მას ბევრი მტერი უჩნდება. მაშინ ბაკან-გამძვრალი კიბო ახლოს თავის მაგარ ბაკანიან მეგობ-რებს აყენებს რომელნიც მას სდარაჯობენ, სანამ ახალი ჯავშანი ამოუვიდოდეს.

ურთ-ერთ დახმარებისას თვალსაჩინო და ფრიად საგულის-ხმო მაგალითს წარმოადგენს ჭიანჭველა. მის შეგნებულ მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ჭიანჭველები დიდ გუნდებათ სცხოვრობენ. ხშირად ერთი გუნდი მეორე გუნდს ეომება. მაგრამ მაინც ძალიან მრავლდებიან, ასე რომ კიდეც ამბობენ „ბრაზილია ადამიანს კი არა ჭიანჭველას ეკუთვნისო“.

ფრინველთა სამეფოს რომ თვალი გადავავლოთ იქაც შევხვდებით ურთი-ერთ დახმარების მრავალ მაგალითს.

განსაკუთრებით ორი ფრინველი იზიდავს ჩვენ ყურადღებას—წერო და თუთიყუში. აი რას ამბობს ბუნების მეტყველი: „წერო ძალიან უწყინარი და სასიამოვნო წევრია ფრინველთა საზოგადოებისა, იმას ძალიან კარგი განწყობილება აქვს არა მარტო თავის ჯიშის ფრინველებთან არამედ დანარჩენ წყლის ფრინველებთანაც. გასაოცარია წეროების სიფრთხილე და თავდაცვის ზომები. მათი დარაჯები ყოველთვის თავის ადგილზე დგანან, როდესაც წეროთა გუნდი საუზმობს ან ისვენებს, და მონადირეებმაც კარგად იციან, თუ რა ძნელია ამ დროს მათი მიახლოვება. დატყვევებული წერო ძალიან უმეგობრდება ადამიანს, და ყოველის ღონისძიებას ხმარობს რომ ადამიანს თავის სიყვარული აგრძნობინოს. ამის გამო წეროს თითქმის არა ჰყავს მტერი და იმას ხანგრძლივი სიცოცხლე აქვს. რაც შეეხება მის ჭკუას, ყველა ამოწმებს, რომ წერო ჭკუით ადამიანს მოგვაგონებს.

მეორე, საზოგადოების მოყვარე ფრინველი არის თუთიყუში. „თუთიყუშები,—ამბობს ბრემი,—ცხოვრობენ მრავალრიცხოვან გუნდებათ. ისინი ამოირჩევენ საერთო ბინას ტყეში და იქიდან ყოველ დილაობით სანადიროთ მიდიან. როდესაც თუთიყუშები ბაღის ან ყანის ასაკლებათ მიდიან, ჯერ ისინი მზვერავებს დააწინაურებენ. მზვერავები დაათვალიერებენ იქაურობას და ანიშნებენ თუთიყუშს „საფრთხე არ არისო“. მხოლოდ მაშინ აიშლება მთელი გუნდი და ბაღს დაესევა. დიდი ზარალი აქვს ადამიანს თუთიყუშებისაგან, მაგრამ ადამიანი თითქმის უძლურია თუთიყუშის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეგობრობაში და თავგანწირვაში თუთიყუში ადამიანს არ ჩამოუვარდება. ადამიანმა თუთიყუში თუ მოჰკლა, მისი მეგობრები ყოველ ხიფათს ივიწყებენ და თავს დასტრიალებენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით ხშირად ადამიანის მსხვერპლათ ხდებიან. ერთ კაცს ორი თუთიყუში ჰყავდა დატყვევებული. გალიაში ეს თუთიყუშები ძალიან მეგობრულად სცხოვრობდენ და ყველაფერს ერთმანეთს უზიარებდენ. ერთხელ ერთი მათგანი ავათ გახდა და მოკვდა. მეორემ ბევრი იდარდა, არაფერს აღარ უყურებდა, საჭმელი აღარ მიიკარა და ჩქარა ისიც თან გადაჰყვა. თუთიყუშს, როგორც წეროს, მტერი თითქმის არა ჰყავს და ამიტომ ის უზრუნველი მიაღწევს ღრმა სიბერემდე.

საზოგადოებრივი ალღო და ურთ-ერთის დახმარება რომ არ იცოდნენ თუთიყუშებმა და მხოლოდ თავისი „მაგარი ნისკარტისა და ბრჭყალების“ ანაბარა იყვნენ, ვერ მიაღწევდენ ვერც გონებრივ განვითარებას, ვერც ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ უჭირს ცხოვრება ცალკე, განმარტოებით მებრძოლ ფრინველებს. აი რას ამბობს ახალ მოსულ ფრინველების სანახავად გასული ბუნების მეტყველი: „ყოველგან სჩქეფს სიცოცხლის ძალა, მაგრამ აგერ „მტაცებელიც“ რომელიც „ულონიერესი და უნიჭიერესია“ და საუცხოვოთ „მომზადებულია“ თავდასხმისათვის. თქვენ გესმის მისი მშიერი, ხარბი და გაანჩხლებული ყრანტალი, როდესაც ის საათობით უცდის ხელსაყრელ შემთხვევას რომ ამ ცოცხალ არსებათა გუნდს ერთი უმწეო ქმნილება გამოჰგლიჯოს. მაგრამ მის მიახლოვებისთანავე მთელი გროვა დარაჯებისა ატყობინებს მტრის მოახლოვებას და მაშინვე მრავალი ასი ფოცხვი და ზღვის მერცხალი იწყებს მტაცებელის დევნას. შიმშილისაგან გააფთრებული მტაცებელი ფრინველი ყოველივე საფრთხეს ივიწყებს, სწრაფლ დაეცემა ფრინველთა ცოცხალ გროვას, მაგრამ როდესაც ყოველ მხრივ მასზე იერიშს მიიტანენ, იძულებული ხდება უკუ იქცეს. შიმშილით დაბრმავებული იგი დაერევა გარეულ იხვებს, მაგრამ ჭკვიანი, ერთად მომქმედი ფრინველები სწრაფლ აიშლებიან გუნდ-გუნდათ და მაღლა აფრინდებიან, თუ ეს მტერი არწივია. თუ ეს მიმინოა, ისინი წყალში ჩაიყურყუმალებენ,, ხოლო თუ ძერა მაშინ წყალზე ფრთებს აბარტყუნებენ და ისეთს კორიანტელს დააყენებენ, რომ მტერს დავთრებს დაუბნევენ. როდესაც ქაობში სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე თავის კალაპოტში ჩადგება, მტაცებელი ფრინველი ბრაზა მორეული ყივილით მიფრინავს შორს და ეძებს რომელიმე პაწია ფრინველს, ან მინდვრის თაგვს, რომელიც ჯერ არ არის სიფრთხილეს ჩვეული. ამნაირად ამ მარტოხელა მტაცებელმა უნდა ეძიოს ისეთი ნაყარ-ნაყარი საჭმელი, როგორიც არის ბაყაყი, თაგვი და სხვა“.

იგივე დახმარება და კავშირი არსებობს ძუძუმწოვართა შორის. მთელი დედამიწა მოფენილია ჩლიქიანთა სხვა და სხვა ჯოგებით—აზიის და ამერიკის ველები განსაკუთრებით. როგორც ეტყობა ეს ერთად ცხოვრება ხელს უწყობს ჩლიქიანთა გამრავლებას. როდესაც ევროპიელები პირველად შევიდენ ჩრდილო ამერიკის ველებში, იმათ ხშირად გზას გადაუჭრიდენ გარეულ კამეჩების მრავალრიცხოვანი ჯოგები, ისე რო მოგზაურები ორ სამ დღეს ადგილიდან ვერ დაიძვრებოდენ, სანამ ეს უზარმაზარი ჯოგები არ გაივლიდა, ჩვენში ჯოგებათ დადიან შველები. ათი, თორმეტი შველი ჩაწვება ბალახში და, თითქო პირობა ჰქონდეთ შეკრული, ხმას არ ამოიღებენ, არ გაინძრევიან რომ მტერმა მათ ბინას არ მიაგნოს. ისინი ისეთი ფხიზელი არიან რომ მონადირეს 80—ნაბიჯზედ არ მიიკარებენ.

ციმბირში, გარეულ თხებს რო თოვლიანი ბუქი მოასწრებს გზაში, ისინი ახლო-ახლო დადგებიან, ერთმანეთს მიეკვრიან და ერთი მეორეს ათბობენ, ამ ნაირად ებრძვიან სიცივეს.

გარეული ღორი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშიაც ბევრია, ფარა და ფარა სცხოვრობს. 10—20 ღორი მოიყრის თავს, თან დაჰყვებიან პირველი და მეორე წლის გოჭები. როდესაც ღორებს ადამიანის შიში აქვსთ ისინი ძალიან სიფრთხილით დადიან წყვილ-წყვილათ. წინ მიუძღვებათ ტახი. როდესაც ის გაჩერდება, თავს ასწევს და სუნს დაიყრის, მაშინ გოჭები გაჩერდებიან და თავს ძირს დაუშვებენ, სჩანს სრულის რწმენით ენდობიან უმფროსის გამოცდილობას. თუ ამ ფარას მტერი დაეცა ღორები გაიფანტებიან და ჭყვირილით ატყობინებენ ერთმანეთს სად ვინ მიიმალა. ღორები დიდის სიმამაცით ებრძვიან მტერს.

ჯგუფ-ჯგუფათ სცხოვრობენ აგრეთვე თახვები, მაიმუნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვები. ამერიკაში და ციმბირში სცხოვრობს ერთგვარი მღრღნავი თახვი, რომელიც დიდ ვირთხასა ჰგავს. თახვები სცხოვრობენ დიდ საზოგადოებათ სადმე მდინარის პირზე. სახლებს იშენებენ წყალთან ახლოს, სახლიდან გამოდის მიწაში ორი გზა: ერთი წყლის ზევით, მეორე შიგ წყალში იმისთვის რო მტერი ვერ შეძვრეს მათ ბინაში. წყალ-დიდობაც და წყალნაკლეობაც მათთვის საშიშია, ამიტომ თახვები აკეთებენ მდინარეში ბოგირებს. როდესაც წყალი ცოტაა ბოგირი წყალს აგუბებს, თუ წყალი ბევრია თახვი გააკეთებს ბოგირში ხვრელს და გამოუშვებს წყალს.



რისგან და როგორ აკეთებენ თახვები ბოგირს? თახვს საუცხოვო ბასრი კბილები აქვს. ის დადგება რომელიმე განაპირა ხის წინ, შესდგება უკანა ფეხებზე, წინა თათებით ხეს მიეყრდნობა და დაუწყებს მას ღრღნას. ისეთი სისწორით არის ხე გადახერხილი რო ადამიანის ხელით მოჭრილი გეგონებათ. ხე წაიქცევა, თახვი მოსჭრის ტოტებს, დასჭრის ხეს კუნძებათ, და ამ კუნძებიდან გააკეთებს ბოგირს. მიაგორებენ თახვები კუნძებს თათებით, წყალში ჩაჰყრიან ან ჩაუბწნიან შტოებს, მიაყრიან ქვიშას და ამნაირათ ამოიყვანენ წყალში მაგარ კედელს.

ეროვნული

დარჩენილი ხის ნაჭრებით და ტალახით თახვი გაიმ[illegible] მაზ სახლს, რომელიც ერთი არშინის სიმაღლისაა, მაგარი და ყოველი მხრით მიუდგომელი. იქ მყუდროდ, უზრუნველად სცხოვრობს თახვი თავის ოჯახით.

ბოლოს რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ მაიმუნზე, რომელიც თავისი ჭკუით, საზოგადოებრივი ინსტიქტის განვითარებით და გრძნობით ყველა ცხოველზე მაღლა სდგას. იქ სადაც მაიმუნი სცხოვრობს, დიდ ზარალს აძლევს ადამიანს, თუ მის ყანებს და ბაღებს შეეჩვია. მაიმუნი დიდის თავგამოდებით და გამბედაობით მოქმედობს. მაიმუნებს ძალიან უყვართ თავისი შვილები და სიცოცხლესაც არ ზოგავენ მათთვის. დაობლებულ პატარა მაიმუნს უთუოთ იშვილებს რომელიმე მაიმუნი და ისე უვლის როგორც ღვიძლ შვილს. აფრიკაში იცის დიდი ჯიშის მაიმუნი გორილა, რომელიც იკეთებს ბინას ხეებზე. ხუთი-ექვსი ოჯახი შეიყრის თავს და ხეებზე დაბინავდება, ერთი მეორის სიახლოვეს.

დღისით პატარა მაიმნები დადიან ერთი მეორესთან სტუმრათ, თამაშობენ, ვარჯიშობენ ხეებზე ხტომით, ღამე კი დაიძინებენ თავის ქოხში დედასთან. ამ დროს მამა მაიმუნი ხის ძირში იძინებს ზეზე მიყრდნობილი და ოჯახს უდარაჯებს.

მოგზაური ჯემსი ფორბოზი ამბობს: როდესაც მაიმუნებზე ვნადირობდი, ერთი მაიმუნი ტყვიით დავჭერ და ტყვეთ წამოყვანა დავაპირე. ამ დროს ხიდან ჩამოხტა მეორე მაიმუნი და ხელების ქნევით და სახის მანჭვით დაიწყო თხოვნა რომ მისი ამხანაგი გაგვეშვა. თხოვნა ისეთის გრძნობით და დაჟინებით იყო გამეორებული, რომ გადავწყვიტეთ არასოდეს აღარ მოგვეკლა მაიმუნი.

ჩრდილოეთ აფრიკაში სახელდობრ აბისინიაში იცის მეორე ჯიშის მაიმუნი „გომადრილი“. მათი მრავალ-რიცხოვანი ხრო დაძვრებიან მიუწვდომელ მთებზე და იქ ატარებენ თითქმის მთელ თავის სიცოცხლეს. როდესაც გომადრილები მაძღარნი არიან, ყველანი მაღალ მთის მწვერვალზე ავლენ. მამალი გომადრიელები ისვენებენ, დედა-გომადრილები კი თვალს ადევნებენ შვილებს, რომელიც იქვე თამაშობენ და ხტუნაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ. თუ იმ დროს სახიფათო გამოჩნდა რამე, ადამიანი, ან მტაცებელი, მთელი ხროვა იწყებს სხვა და სხვა ხმით საზარელ ყვირილს. ზოგი ღმუის, ზოგი ღრუტუნებს, ზოგი კნავის, ზოგი ჰყეფს. მამალი მაიმუნები კლდის ნაპირზე გადმოდგებიან და ათვალიერებენ არე-მარეს. პატარა მაიმუნები დედას ამოეფარებიან, სულ პატარები ჩამოეკიდებიან მას კისერზე ან ზურგზე. თუ გომადრილს მიუახლოვდა მტერი, საშინლათ გაბრაზდება და იწყებს ღრიალს, ერთი ხელით ურტყამს კლდეს, აკაწკაწებს კბილებს და მაიმუნები მზათ არიან შეერთებული ძალით დაეცენ მტერს.



ერთხელ, გვიამბობს ბრემი, ჩვენი ძაღლები ეცენ გომადრილებს მაგრამ გომადრილებმა ისე საშინლად შეუტიეს მათ, რომ ძაღლები უკან გამოიქცნენ. ხელ მეორეთ მიუსიეთ ძაღლები, მაგრამ გომადრილები იმ დროს უკვე წასულიყვენ და მხოლოდ რამდენიმე მაიმუნი დარჩა. მათ შორის ერთი პატარა მაიმუნიც ერია, რომელიც ჩქარა უკან ჩამორჩა. ძაღლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეწიენ მას და თავს წაადგენ. ჩვენ გვიხაროდა რომ ერთი მაიმუნი მაინც ჩაგვივარდა ხელში, მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ დატრიალდა. პირდაპირ მდებარე გორიდან, დინჯათ და თავმოწონებით ჩამოვიდა დიდი მამალი გომადრიელი, იმან არავითარი ყურადღება არ მიაქცია მონადირეებს, მიუახლოვდა ძაღლებს და ისეთის საშინელის თვალით გადახედა მათ, რომ ძაღლები გაშეშდენ. წყნარად ავიდა გომადრილი კლდეზე, ჩამოიყვანა პატარა მაიმუნი, მიუალერსა მას და ისევ აუჩქარებლათ დაბრუნდა საიდანაც მოვიდა, პატარა მაიმუნი ხელ ჩაკიდებული თან გაჰყვა. ჩვენ ისე გაოცებული დავრჩით ნანახით რომ სრულებით უვნებლათ გაუშვით მამაცი ცხოველი. ამ უშიშარს და შვილების მოყვარე მაიმუნს დიდს პატივს სცემდენ ძველ დროს ეგვიპტელები და ეთაყვანებოდენ. ამნაირი ცხოვრება ძალიან ხელს უწყობს მაიმუნის გონებრივ განვითარებას. ბუნების მეტყველს და მეცნიერს ბიუფონს ერთი პატარა მაიმუნი ჰყავდა—შიმპანზე, რომელსაც მისი სიტყვით, არც ერთი ის ნაკლი არა ჰქონია, რომელიც სხვა მაიმუნებს ახასიათებს, შიმპანზე ყოველთვის ასრულებდა პატრონის ბრძანებას: დასეირნობდა მასთან,ართმევდა ხელს სტუმრებს; სადილის დროს მაიმუნი მიუჯდებოდა სუფრას, ყელზე აიფარებდა ხელსახოცს, ღვინის დალევის შემდეგ მოიწმენდდა ტუჩებს; ის თვითონ ისხამდა ღვინოს და ასწევდა მაღლა ჭიქას სტუმრის სადღეგრძელოთ. შემდეგ შიმპანზე მოიტანდა თავის ფინჯანს, დაისხამდა ჩაის და მოთმინებით უცდიდა მის გაცივებას, არავის არაფერს აწყენიებდა ეს მაიმუნი, და ძალიან ესიამოვნებოდა, როდესაც მას ვინმე ეალერსებოდა.

ვფიქრობ რომ დასახელებული მაგალითები ნათლად დაანახვებენ მკითხველს რომ ურთი-ერთ დახმარება, ჯგუფებათ ცხოვრების მოწყობა ჰქმნის ცხოვრების საუკეთესო პირობებს, სადაც ძლიერებთან ერთათ სუსტიც პოულობს საერთო მფარველობას, აუმჯობესებს ფიზიკურათ და გონივრულათ ცხოველებს რაც ხელს უწყობს მათ ძლიერებას და განვითარებას.

ელენე ვირსალაძე.

საქართ... ტფილ... საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) „ჯეჯილის“ რედ. მიიღო **ფოთიდან** ლაზარე ძიმისტარაშვილისაგან შემდეგი ბარათი: მივიღეთ თუ არა ჩვენი საყვარელი ჟურნალი „ჯეჯილი“ პატარა მოწაფეებმა წაიკითხეს სასიქადულო მგოსნის გ. ქუჩიშვილის მოწოდება „ქართლი დაემხო! ავადგინოთ ქართლი“! მაშინვე ყმაწვილებმა გამოიღეს თავიანთი წვლილი **422** მან. და გთხოვთ ეს პატარა თანხა, იმ იმედით რომ „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება“ გადასცეთ მიწისძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ.

გამგე ფოთის მეექვსე დაწყ. სასწ. ლაზარე ძიმისტარაშვილი.

2) „ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო ბოდბის ხევის სკოლის მეოთხე განყოფილების მოწაფეებისაგან გამართული ლატარიიდან **103** მან. მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორის მოწაფეებისათვის გარდასაცემათ.

კატუშა პავლიაშვილი, ანუსია ჭაბაშვილი, ქრისტინე ბელიაშვილი.

ზემოხსენებული ფული **525** მან. დანიშნულებისამებრ გადაეცა და კვიტანცია რედაქციაში იმყოფება.

SAYMAWVILO NAXATEBIANI JURNALI

# ჯეჯილი

დაარსებული 1890 წ.

**მიიღება ხელისმოწერა 1920 წ.**

მთავრობის დახმარებით ჯეჯილი უზრუნველყოფილი იქნება.
ხელისმომწერლები დროზე მიიღებენ ჟურნალს.
ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**წლიურათ ეღირება 100 მანეთი.**

**ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები** და ახლათ შემდგარი კომისია შეეცდება ჟურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდოს საღი გონებრივი საზრდო.

მისამართი: თბილისი, საყმაწვილო ჟურნალი **„ჯეჯილის“ რედაქცია** (არტილერიის ქ., № 5).

რედ.-გამ. **ან. წერეთლისა.**